XXIII № 10 XXIII

ოქტომბერი, 1912 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I გემრიელი სადილი. სურათი 546
II შენ რათ ქვითინებ, პატარავ? ლექსი ვ. რუხაძისა . 547
III მერცხლების ჭკუა-გონება. თინა ნაკაშაძისა . . . 548
IV თეთრი ყვავილი, ამბავი ან. წერეთლისა . . . 550
V იადონი, თარგმანი მანანასი 557
VI მცონარა (ზღაპრული) დასასრული გ. ქუჩიშვილისა. 560
VII სარდინკის კოლოფი (დასასრული) იტა ნაკაშიძისა. 569
VIII ნატვრის ბეჭედი (ზღაპარი) დასასრული შემდეგ ვიკენტი თაბუქაშვილისა. 574
IX წვრილმანი: ასაწერი სურათები, გამოცანები და ახსნა 577

X თინათინა ლექსი ალადო გეგეჭკორისა 579
XI ლომის ლეგვი (დასასრული შემდეგ) გადმოკეთებული ილიკო ფალიანისა 581
XII დავით კოპერფილდი ჩარლს დიკენსის მოთხრობა. (დასასრული) თარგმანი ელ. კარბელაშვილისა . . . 588
XIII მტკვარი, ჭოროხი და რიონი (დასასრული) ილ. ალხაზიშვილისა 594
XIV მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან, ივ. თიკანაძისა . . 603

ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს, ვისაც სრულათა აქვს ჟურნალის ფასი გადახდილი, გაეგზავნებათ საჩუქრათ

დასურათებული ზღაპარი

ლომ-კაცი

გიორგი წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

ოქტომბერი. 1912

✦ წელიწადი მეოცდასამე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1912

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეორიელი სადილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ რათ ქვითინებ, პატარავ?

ემოდგომაა. წვიმა სცრის,
ქარი სისინებს ცივათა,
ტყე კვნესის, ბუჩქნი ცრემლს ღვრიან,
კორდზე წყობილნი მწკრივათა...
ნეტა რათ სტირის ბუნება?
რისთვის ჩაუცვამს შავები?
ზამთარს მოელის და სევდა
გულს უწყლავს მონაზღვავები.

—

— შენ რათ ქვითინებ, პატარავ,
ცრემლი რათ მოგდის თვალზედა?
— სკოლაში უნდა წავიდე...
გარეთ კი ცივა ძალზედა.
— ვაი, სირცხვილო!.. რას ამბობ,
იმედო მომავალისა?
სწავლა თვით გაზაფხულია,
მომნიჭებელი ძალისა!

ვ. რუხაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერცხლების ჭკუა-გოხება

ერთი ფრინველების მოუვარული ქალი, ბევრი დაკვირვების შემდეგ, დარწმუნდა, რომ ფრინველებს აქვთ მეგობრული გრძნობა და გაჭირვების დროს ერთმანეთს შველიან.

ეს ქალი ცხოვრობდა ერთ ჰატარა ხის სახლში, რომელსაც გარედან ჩარდახში ასასვლელი კიბე ჰქონდა და ლამაზი უვავილებით შემკული აივანი. ეს აივანი სწორეთ ძალიან მოხერხებული იყო მერცხლების ბუდეებისთვის. მათთაც რასაკვირველია შეამჩნიეს და უთვალავი ბუდეები გაიკეთეს ოთახების კარებების თავზე. საშინელი უსუფთავობა გაჩნდა აივანზე და კიბეებზე.

სახლის ჰატრონმა მოინდომა მერცხლებისათვის დაეშალა ბუდეების გაკეთება. ის ყოველ საღამოს ანგრევდა მერცხლების დღიურ ნამუშავარს იმ იმედით, რომ ფრთოვან ამშენებლებს მობეზრდებათ ყოველ დილით ხელ-ახლათ შენობის დაწყება და მოშორდებიან ამ არე მარეს. მაგრამ საქმე სხვანაირათ დატრიალდა.

საბრალო მერცხლები დაღონებულნი მომავალი ბარტყების ბედ-იღბლით, თავიანთი გასაჭირი შეატყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინეს ამსანაგებს. ეველა მეზობლათ მცხოვრებ მერცხ-ლებმა თავი მოიყარეს და გამოეშურენ საშველათ. იმათ საერთო ძალით ბუდე მაგრათ მიაწებეს, რომ მისი დანგრევა აგრე ადვილი აღარ ეოფილიეო და სახლის პატრონმაც მეტი გზა არ იეო დაუთმო ადგილი ამ ახირებულ სტუმრებს.

(თარგმანი)

თინა ნაკაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ეკავილი

ამბავი.

ელენკო ნატრულობდა ქალაქის ნახვას. მისი ტოლ-ამხანაგები წამ და უწუმ ჩარბოდენ ქალაქში, რომელიც მათგან სულ ერთ მტკაველ სიშორეზე იქნები და, მაგრამ ელენკო ვერ ახერხებდა: ხან დაიმა ჭეკანდა მოსავლელი, ხან დედას შველოდა ბურის ცხობაში, ხან სხვა საოჯახო საქმეები აბრკოლებდენ. მიზეზი არ გამოელევოდა. ღვთის წინაშე დედას მისი გაშვება ქალაქში არც უნდოდა, თორემ ეველაფერი ადვილათ მოხერხდებოდა, ის კი 14 წლის გოგო იყო. მისი დედა გაიძახოდა: ჩემი ელენკო დოულაბიაა, წააწყდება რასმეს. ის კონკაა თუ რაღაც ჯანაბა უსაიუოდ გაიტანს და მომიკლავს. მაგრამ ერთ დილას, მისი ტოლ—ამხანაგი გოგოები უნდა წასულიეკენ ქალაქში. ელენკომ, შეიტყო თუ არა, დაუბირა გაჭეოლოდა მათ. მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე ლული არ მიჭკარებია მის თვალებს, მოუსვენრათ იყო. „ნუ თუ მართლა, ფიქრობდა ელენკო, ქალაქის სახლები ისეთი მაღალია, რომ ცას სწვდება, როგორც გოგოები ამბობენო. ნუ თუ რუსები ყველა მთვრალები არიანო?“ ჯ სხვა ბევრი, ამისთანა უცნაური რამეები უფრთხობდენ საწყალ გოგოს ძილს. გათენებისას ელენკო სწრაფად წამოხტა ქვეშაგებიდან, წყაროდან წყალი ამოუტანა დედას, საჩქაროთ გადიცვა ახალი გარეცხილი და ათას ალაგას დაკონკილი ჰირის ფერი ჩითის კაბა, თავზე წამოიგდო ნარინჯის ფერი ფოჩებიანი თავშალი, მერე ერთი ძისძახა დედას—გოგოებს უნდა გავეკვე ქალაქშიო და გაჭქრა.

ელენკო მივიდა იმ ადგილას, სადაც უნდა შეეერილიყვენ ქალაქში წამსვლელები, მაგრამ ჯერ ისე ადრე იყო, რომ არავინ არ დაუხვდა. ელენკოს გული უფანცქალებს, მოუსვენრათ ტოკავს, ჩქარობს, ეშინიან არ დამაბრკოლონო, ერთი მეღირსოს ქალაქის ნახვაო.

გოგოებმა მალე მოიყარეს თავი, ბევრნი არ იყვენ—სულ სამი—ოთხნი. ელენკო დაინახეს თუ არა ამათ კიჟინა დასცეს, გაეხარდათ, მთელი გზა სულ სიცილ-კასკასი გაჭქონდათ. ეს გოგოები ქალაქში საზოგადოთ მარტო არ დაიარებოდენ. მათი წინამძღოლათ იყო ხოლმე ქვრივი მართა აკიდებული ეოველთვის კალათებით: ქათმები, კვერცხები და მწვანეულობა თავისი და მეზობლებისა ჩაჭქონდა ქალაქში გასაყიდათ და როდესაც გოგოები დაწინაურდებოდენ, მართა ბუზღუნობდა და ემუქრებოდა: კვლავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ წამოგიყვანთო. დედებიც გულდინჯათ უშვებდენ თავიანთ შვილებს, რადგან მათთან მართა ეგულებოდათ. ჩვენმა მგზავრებმა მალე მიაღწიეს ქალაქს: დაეშვენ სომხების სასაფლაოსკენ, ვერის უბანში, და გავიდენ ქალაქის ერთ დიდ ქუჩაში.

***

მშვენიერი გაზაფხულის დილა იდგა, ცოტა წამოწვიმებული იყო, თითქოს ქუჩები გარეცხილიაო. ხალხი აუარებელი მიდი-მოდიოდა, მორთულ-მოკაზულნი იყვენ, სახე უბრწყინავდათ. კაცებს ყველას გულზე თეთრი ყვავილები ჰქონდათ გაკეთებული. ქალებს ეჭირათ ხელში თეთრი ყვავილებით სავსე კალათები და ყველა გამვლელ-გამომავლელს აჩეჩებდენ ხელში. ელენკო თვალებს აჭყეტდა, აქეთ-იქით გაფაციცებით გაიყურებოდა. სახლები მართლაც ისე მაღალი ეჩვენებოდა თავიანთ მიწურ ქოხებთან შედარებით, რომ ეგონებოდა ნამდვილათ ცას ებჯინებაო. ელენკოს წინ ერთბაშათ რაღაც გორგოლეიან ეტლმა გაიელვა, მტვერში და ბურუსში გამოჩნდენ ლურჯწითლათ მორთული სალხი. ამან ძლივს მოასწრო თვალის მოკვრა და ამ დროს კი სწრაფლეთ მიმავალმა რაღაც უზარმაზარმა ჩასაჯდომმა კინაღამ გაიტანა. ზარის რეკას რომ არ გაეფრთხილებინა, ჩასაჯდომი ელენკოს ზედ გადაუვლიდა. თავზარ დაცემულმა სახლის კედელს ძიებჯინა, გაიხედა აქეთ-იქით და უფრო თავზარი დაეცა, რომ ვეღარც მართა ნახა და ვერც ამხანაგი გოგოები. ახლა ის იდგა ჯვარედინ ქუჩაზე სადაც დიდ ძალი ხალხი შეჯგუფული იყო. ერთ ადგილას მრავალი ბოძები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარჭობილი იყო მწვანე ფოთლების გრეხილებით მო-
რთული, მას ქვეშ მაგიდები იდგა, რომელზედაც კა-
ლათები ეწყო სწორეთ იმ თეთრი ეკვავილებით, რო-
მელიც ეველას გულზე ჰქონდა გაკეთებული, ან ხე-
ლში ეჭირათ. ელენკო ხედავდა რომ ქალები ურიგე-
ბდენ ეველას ეკვავილებს და ამასაც საშინლად მოუნ-
და ეკვავილები, ხელი გაუწვდინა ერთ მორთულ ქალს,
რომელიც მაგიდასთან ახლოს იდგა და წელზე ეკი-
და მზეზე მობრჭეკილე ვერცხლის აბგა. ელენკო
გასწვდა ეკვავილებს და გამოსტაცა ქალს ერთი ბღუჯი
ეკვავილი: ამავე დროს უცაბედათ მოსდო ხელი ბრჭეკი-
ალა აბგას და აბგა გაიხსნა. მანდილოსანმა მორთო
კივილი: «მიშველეთ, ქურდი დაიჭირეთ, ქურდიო!

ეს თქმა იყო და მაშინვე პოლიციელები მისცვი-
ვდენ ელენკოს და გაათრიეს განზე. მას წაართვეს
ხელში რომ ეჭირა ერთი ბღუჯი თეთრი ეკვავილი
და ჯიბეებს და უბეებს უშინჯავდენ ფული რა უეოვო.
მანდილოსანმა მართალია ხაჩქაროთ მისმასა: ფული
სრულათა მაქვსო, მაგრამ პოლიციელები ძალით
მიათრევდენ გოგოს. ის არ მიჰეეებოდა, ტიროდა,
უძახდა მართას, თავის ტოლ გოგოებს, მაგრამ რას
გააწყობდა.

— უჩასტკაში წაიყვანეთ, უჩასტკაში, იქ გავარ-
ჩევთ, ეკიროდა პოლიციის უფროსი,—მაგას ვუჩვე-
ნებთ ფულის მოტაცება რა არის!

და საბრალო ელენკოს მიათრევდენ ქუჩაში. მას
ეგონა ნამდვილ ჯოჯოხეთში ჩავარდიო და გაჰქონდა
ხრიალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბის ძნახველი ერთი თამაძი სტუდენტი გა-ჰყვა პოლიციელებს. მას ძალიან შეეცოდა გოგო და იფიქრა ვუმოწმეო, რომ დანაშაული არ არისო.

მართლაც ელენკო უჩასტკაში ისე მწარეთ ტი-როდა და ქვითინებდა, რომ ვერაფერი ვერ გაიგეს. მაშინ გამოჩნდა მისი მეტომაგე სტუდენტი. საქმე ამისი თარჯიმანობით მალე გამოირკვა და გოგოს თავი დაანებეს. ძაგრამ საბრალომ აღარ იცოდა სად წასულიყო, როგორ ეპოვნა ტოლი გოგოები და მა-რთა. ახლაც სტუდენტმა თავს იდო და წამოიყვანა პოლიციიდან.

*
* *

დიდ ქუჩაზე რომ გამოვიდენ, მართამ ჩვეულები-სამებრ კასწია ბაზარში თავის სანოვაგის და ქათამ—კვერცხების გასაყიდათ და მერე, როგორც წესათა ჰქონდათ, უნდა ეველას თავი მოეყარა შინ წასასვლე-ლათ იმ დიდ ქუჩის ბოლოს, სადაც ჰირველათ გა-მოვიდენ—ერთი სახლის კუთხის ფანჯარასთან. ელე-ნკომ ამისი არაფერი იცოდა. გოგოები რომ შეერი-ვნენ ხალხის მორევში და გარეულნი უეურებდენ ამ აუარებელ სადღესასწაულოთ მორთულ-მოკმაზულ ხა-ლხს შემკულებს თეთრი ეკავილებით, სრულებით მია-ვიწუდათ ელენკო. როცა შეამჩნიეს, რომ ის გვერდით აღარა ჰყავდათ, შეწუხდენ და რომ არ დაფანტულიეკენ ხელი ხელს მისცეს და ისე დაიწყეს მისი ძებნა. მაგრამ დახე უბედურებას! ის აღარსად ჩანდა, მართალია გო-გოებმა შორიდან დაინახეს რომ ხალხი ვიღასაც შემოხვეოდა და ეკიროდა: ქურდი, ქურდი დაიჭირესო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რას ბოიფიქრებდენ, რომ ელენკოზე ყვირიოდენ.

გოგოები კიდევ დიდხანს დახეტიალობდენ, უკვირდათ რომ ყველა ფულებს აძლევს ამ გამოუყენებელ ჩვრებისაგან გაკეთებულ თეთრ ყვითელ—გულიან ყვავილებში, რომელნიც ძალიან გვანდენ მინდვრის გვირილას. გოგოები ყველას ფეხქვეშ ებლანდებოდენ და წამ და უწუმ ესმოდათ:

— ამ სოფლის გოგოებს აქ რაღა უნდათ!

ზოგმა აჩუქეს კიდეც ყვავილები და ეუბნებოდენ გულზე გაიკეთეთო! ბოლოს მოღალულ-მოქანცულნი გაეშურენ თავიანთ დანიშნულ ადგილზე.

***

ელენკო რომ ცოტა დამშვიდდა, უამბო ამ ემაწვილს - რომელი სოფლიდან არის და გამოუტყდა, რომ ამის მეტათ ქალაქი არ ენახა. განა არა, ყველა აფრთხილებდა და მართლაც ამისთანა ჭირში ჩავარდა. სტუდენტმა დაამშვიდა და უთხრა, რომ დღეს ქალაქში არა ჩვეულებრივი დღეა და კვლავ სახიფათო არა იქნებარა, როდესაც ხშირათ ჩამოხვალ—შეეჩვევი ყველაფერსაო. ელენკო ჯერ სელებს შლიდა—აღარ გავიგელი ქალაქშიო, მაგრამ ბოლოს ისე მოიწონა აქაურობა, რომ გულ დინჯათ უგდებდა ყურს სტუდენტის ნაამბობს. ის ნელა და გარკვევით უამბებდა:

,,დღეს რომ ჰყიდდენ სასწავლებლებში გაკეთებულ უბრალო თეთრ ყვავილებს, გვირილას მინაგავს, მისი მოგროვილი ფულით უნდა ააშენონ საავათმყოფო, რომელშიაც უწამლებენ ჭლექით ავადმყოფს. ქალაქის ყოველ ქუჩაში, ყოველ კუთხეში არიგებენ ყვავილებს და ყველა ხალისით იხდის საფასურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რომ იმ ქალმა დამწამა ქურდობა, ვერცხლის აბგაც საავათმყოფოსთვის იყო?

სტუდენტმა გაიცინა და ის იყო პასუხი უნდა მიეცა, რომ ელენკომ ერთბაშათ შეჰკივლა:

— აი ჩვენი გოგოები, აი მართაც!

და გაექანა იმათკენ. ისინი შუა ქუჩაში იდგენ და ეძებდენ ელენკოს.

სტუდენტი სწრაფათ მოშორდა მათ.

ანასტასია წერეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იადონი.

ინ არის, რა მოხდა? რა ამბავია? კი-თხულობდა წამ და უწუმ ყველაფრის გამომძიებელი თინა—ჩქარა მაჩვენეთ ერთი რა არის?

საცა იყო და არ იყო ყველგან მეტიჩრობდა და ცხვირს სჩრიდა. ყველაფერი ჰირველათ იმას უნდა გაეგო, დაენახა. ძაღლი რომ დაჭყეფდა, ის მაშინვე გარბოდა შესატყობათ რა ამბავიაო, ქუჩაში რომ ხმაურობა ატუდებოდა, თინა მაშინვე ფანჯარაში დაერჭობოდა, თუ ვინმე ლაპარაკს მოჭყვებოდა—იმას ფეხს ვეღარ მოაცვლევინებდით იქიდან. ამის გამო თინას ბევრი სასაცილო და საცინარალი ამბავი გადახდა თავს.

—თინას უთუოთ უნდა მოვაშლევინოთ ეს საძაგელი ჩვეულება, ამბობდა მისი დედა-მამა.

ერთხელ თინას დედა-მამამ სადღაც წასვლა დააპირეს და შვილს დაუბარეს:

—ამ ჩვენი საწოლ ოთახის გასაღებს გაბარებთ, არავის მისცე, არავის გაუღო და თუ აასრულებ ჩვენ დანაბარს, კაი ლამაზ იადონს გაჩუქებთო.

—კარებს არც მე გავაღებ, მამილო, არც სხვას გავაღებინებ. შენც ხომ უთუოდ მომგვრი ჩიტუნიას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, თუ კარებს არ გააღებ, დღესვე მოგგვრი ჩიტუნიას.

— ოჰ, მამილო, რომ იცოდე, როგორ გამეხარდება!

— მაშ იცოდე, არც შენ გააღო ოთახი და არც ვისმეს მისცე გასაღები.

თინამ ერთი კიდევ შეჰფიცა არ გავაღებო და დედ-მამა წავიდენ სახლიდან.

გაიარა ერთმა საათმა, მეორემ, მესამემ, გაჭიანურდა დრო, არა ეშველა რა დედ-მამის დაბრუნებას. თინამ აღარ იცოდა რა გაეკეთებინა! ამ ხანობაში ოთხი ჰატარა მოთხრობა წაიკითხა, თავის დედოფალა ახალ კაბაში გამოაწყო, დედის ხელსაქმის უუთი ჯერ სულ ამოწეწა, მერე მიალაგა და ბოლოს აღარ იცოდა რითი გაერთო თავი. მოიწყინა, ქუჩაშიაც გაისედა, იქნება რამე ვნახოვო, მაგრამ იქ სიჩუმე იყო. თინა გაიქცა სამზარეულოში, მზარეულს ეკელაფერი მიელაგებინა და ტკბილათ ეძინა. თინამ ერთი ორჯელ მუჯლუგუნი ჰკრა, რომ გაეღვიძებინა, მაგრამ ვერას გახდა და ისევ ფანჯარას მიუჯდა დედ-მამის მოლოდინში.

— ღმერთო, ნეტავი მალე მოვიდენ, იძახდა თინა.

უცებ დაკეტილი ოთახი მოაგონდა.—ნეტა რათ აშიკრძალეს იმ ოთახის გაღება, ფიქრობდა თინა;— ალბათ შიგ ძალიან კარგი რამეა! ნეტავი მანახვა! „თუ კარს გააღებ იადონს აღარ გაჩუქებო“ მოაგონდება თინას მამის სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის, ოთახში გალია და შიგ იადონი ზის.

რაც უფრო ცდილობდა თინა, რომ წარმოედგინა რა იყო ოთახში, მით უფრო უნდოდა ერთი თვალით მაინც შეეჭვიტა შიგ.

ბოლოს ვეღარ მოითმინა, ფრთხილათ მივიდა, შედო გასაღები, გადაატრიალა და კარი შეაღო. ამ დროს ფრთხიალი მოესმა და მშვენიერი იადონი გამოფრინდა ოთახიდან, ერთი ორჯერ შემოუფრინა სასადილო ოთახს და გაჭქრა ღია ფანჯარაში.

თინა ჰირდაღებული შესცქეროდა.

მერე რა კარგი იადონი იყო!

(თარგმანი).

მანანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცოენარა.

(ზღაპრული).

V.

არა თუ არ იარა,
მინდორი გადაიარა.
წულიდან თევზმა მიაძახა:
—ეი, კაცო! მითხარ მმობას,
საით მიეშურები?
— ღმერთთან, რადგან მე მხოლოდ
იმას ვემსახურები.
— მაშ, ერთ რამეს გთხოვ
და აღმისრულე,
შემდეგ შენს ერთგულ
მოუმეთ მიგულე.
— დროს ნუ აცანებ,
ნუ მაგვიანებ,
სთქვი რა გაწუხებს,
ან რას მიბრძანებ.
— მოგახსენებ: აგერ
გახდა ორი წელი,
დაბრმავდა თვალი,
ვეღარასა ვშველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა შენ გავალებ,
თუ გწამს იგი ღმერთი,
რა არის მიზეზი
შემიტყევი ერთი.
— ძალიან კარგი.
წავალ... ნახვამდის!
— იდიდოს შენი
სახელი ცამდის,
გზა მშვიდობისა
მოგცეს უფალმა,
და არ გიმტკუნოს
მუხლთ ღონეძალმა.

VI

მიდის მცონარა,
იმოკლებს გზასა.
ჭა, მიაღწია
მთასა მაღალსა.
ზე აიხედა,
შეავლო თვალი,
ცად აზიდული
ნახა მწვერვალი.
შეუდგა აჯმართს
მუხლების თრევით,
ვაი ვაგლახით
ავიდა ზევით.
აქ მოეწონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის ერთი თხემი,
და გაეშურა
მეისვე მისკენა;
გზაზე შემოჰხვდა
ხარი-ირემი
და შესაკითხათ
ის შეაყენა.
უთხრა:—ძმობილო!
კეთილ-შობილო,
მიპასუხეგი ვინა ხარ, ვინა!
საიდან მოხველ, ან ვის დაეძებ,
აქ ამოსვლა რამ გააზრებინა?
— ვის დავეძებ, ან
რა მინდა აქ მე?
ღმერთთან მოვედი
მაქვს მცირე საქმე!
—კეთილი... ეს მთა
უმწვერვალესი
ყველა სხვა მთებზე
არს უმაღლესი...
და თუ კიდევ გსურს
ახვიდე მაღლა,
ისე რომ თითქმის
არ იგრძნო დაღლა,
კიბეთ ისმარე
ეს ჩემი რქები,
სიმკვიდრ-სიმშვენით
ეოვლად ნაქები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტიდან ტოტზე გადადი, ახვალ
ზევით, სულ მაღლა, თეთრ ღრუბლებთანა;
და იქ ილოცე, ილოცე, ძმაო,
მეც შემაყვედრე იმა ღმერთთანა.

მოეწონა ზარმაცს რჩევა,
და რა იწყო რქებზე ასვლა,
ამ დროს ზეცით ჩამოესმა
იდუმალი ზეკაცის ხმა:

— ჰე, მიწიერო,
საბრალობელო;
სად მიხვალ, სადა,
სოფლის მგმობელო?

— ჰე, უფალო! შენთან მოვალ,
ნუ შემრისხავ, მაცალეო;
შეისმინე აჯა ჩემი,
მიხსენ, ეოვლად მოწყალეო.

— მარქვი, რას ითხოვ!
— სარჩო არ გამაჩნია,
ამას შემოგტირი მე;
მოიღე მოწყალება,
შენი მუსლის ჭირიმე.

— გაბრუნდი!..თხოვნა
აგისრულდება,
და შენი სარჩო
შინ დაგიხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ამისა
საქმენი: მგლისა,
ბებერ მუხის და
თევზის თვალისა
ჰკითხა... შეიტყო
ოველისფერი,
ირემს დაურჩა
სრულ—მადლიერი,
და გზას გაუდგა
გულის ხმიერი.

VII

მუქთა ხორა სიხარულით
ლამის არის ცას ეწია;
მოცუნცრუკებს, მოკუნტრუშებს,
მალე თევზას მოადწია,
და ახარა: რომ ალმასი,
ჩაგვარდნია ლაუჩხეო;
გამოიღე,—დაიბრუნებ
საღ სინათლეს ბრმა თვალშიო.

თევზმა უთხრა—გულ-კეთილო,
ჩემო კარგო მოუვარეო,
ხომ მადლი ჰქენ, ბარემ ამ მადლს,
მარილიც მოაყარეო.
ლაუჩიდან ის ალმასი,
მოდი, შენ გამომიღეო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიბრუნე მუნ სინათლე,
სულიერ-გულის სილაღეო.

ამოუღო თევზს ალმასი
მეისვე თვალი აუხილა.
გასამრჯელოთ დათოს მისცა
და მან კი ეს ითაკილა.
შუა წყალში გადისროლა,
სთქვა: რას გამომადგებაო;
ჩემი სარჩო და დოვლათი
წავალ გზაზე დამხვდებაო.

აი შე, სულელოვო—
თევზმა წაიუჭუჭა!...
— მართლაც ვინ იზამს ამას,
თუ არ ისევ თავ-ფუჭა.
მუქთა ხორაკ იარა,
მანძილი გაიარა,
ინახულა მუხა
და ეს უპასუხა:
— ეჰ მაგ მხმობიარე გვერდით,
ერთი ქვევრი მარხიაო;
ამოიღე, გაგშორდება
ეგ სენი, ვაგლახიაო.

მუხა შველას შეეხვეწა:
ძმაო, შენ დამეხმარეო,
სადაც ქვევრი იმარხება,
ძირი გამომითხარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აუსრულა მასაც თხოვნა,
ძირ ფესვები გაუთხარა;
ამოიღო მავნე ქვევრი,
მიწა ისევ მიაყარა,
და შესძახა:—ისარებდე!
ჭხედავ, საკვესს ფულითაო;
აჭა, ძმაო, და იცხოვრე
განედლებულ გულითაო.

— არა, ძმაო მადლიანო,
რადგანაც რომ მიხსენიო,
ეს დიდ-ძალი ოქრო, ვერცხლი,
შენ გეკუთვნის, ვით მღვენიო.

— აბა, ეგ მე ვით
მეკადრებაო,
ჩემი სარჩო წინ
დამიხვდებაო.

მაგრამ მუხა არ მოეშვა,
წაიღეო—შეეხვეწა.
მოუვიდა დათოს გული,
სახე რისხვით აელეწა;
გაექანა ქვევრს წიხლი ჭკრა,
და ხრამში კი გადალეწა.

თითქოს არაფერიაო,
აბურძგნულმა იწყო ჩეჩა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვიდა... ამ დროს გზაზე
ძველ ნაცნობ მგელს შეეხეჩა.
მიესალმა:—გამარჯვება!—
გაიძვერა სუნსულაო,
ახლოს მოდი, მიზეზს გეტუვი,
რად ხარ გამხდარი სულაო.

— მითხარ, მითხარ,
შენსა მზესა;
ღმერთი დიდხანს
გაცოცხლებსა.

—კაცის ხორცს რომ არ მიირთმევ,
მიტომ არა სუქდებიო.

— კაციც შენ ხარ! ბიჭოს! ნეტავ
რაღაზედა ვწუხდებიო?—
უთხრა მგელმა—პირი უეო,
იქვე ტეისკენ გააქანა;
და რაც მას იქ დაემართა
თქვენს მტერს შეხვდეს იმისთანა.

მეორე დღეს ნახეს ეველამ
დაფლეთილი, აკუწული,
შეებრალათ უბედური,
მორთეს ოხვრა სინანული;
მაგრამ რაღას უშველიდნენ
სულ ამაო იეო ეველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოლოთ ერთს ღრმათ მოსუცებულს
გულით მოსწყდა მძიმე კვნესა;
და სხვათა ჭკვის სასწავლებლად,
ნაღვლიანი ხმით სთქვა ესა:

— აი, რა მოსდის მცონარას,
გარჯა გიყვარდეთ, შვილოვო,
რომ თქვენც არ გასდეთ საქვეყნო
სატირალ—სასაცილოვო.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარდინკის კოლოფი.

(დასასრული*)

არდინკებს სხვანაირი ბადით იჭერენ. ბადე მოქსოვილია წმინდა ძაფისგან, თვლები სწორეთ იმ ზომისა აქვს, რომ შეუძლია მოდიდო სარდინკას თავი შიგ გაჭეოს: ბადეს გადისვრიან ზღვაში, ის ჩაეშვება ძირს, რაღგან ქვევით ცოტაოდენი სიმძიმისათვის ტყვიის ბურთები აქვს მიმაგრებული, ზევით კი ბადეს საცურავები (ლიკლიკები) აქვს, რომ ლითაც ბადე ზევით ცურავს, ასე ჩაშვებული ბადე, კედელივით არის გაჩერებული ზღვაში და ნელ-ნელა მიჭვევა წყალს. ბადესთან მომწყვდეული წვრილი თევზი ცდილობს გაძვრეს თვლებში, ჭეოფს შიგ თავს, ებმება შიგ: უკან გამობრუნება აღარ შეუძლია, რადგან ეს თევზები ურიცხვ ქარავნებით დასეირნობენ და არა ცალ-ცალკე. თქვენ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენი თევზი გაებმება ამგვარ ბადეში. მებადურები გამოათრევენ დატვირთულ ბადეს, ფრთხილათ აძრობენ თვლებიდან თევზებს და ჭეიდიან ქარხნებში. ქარხნების რიცხვი კი ძლიერ ბევრია ატლანტიის ოკეანეს ნავსირებზე. ქარხნებში უმეტესათ ქალები მუშაობენ. თევზებს გრძელ მაგიდებზე ჭერიან

*) იხ. „ჯეჯილი“ № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აურიან ძარილს; თითოეულ თევზს მოსჭრიან თავს, რომელსაც შიგნეულობაც თან გაჰყვება ხოლმე. არც თავები იკარგება თევზებისა, იმათ სმარობენ ნიადაგის გასანოყიერებლად, როგორც ჩვენში ნაკელს. ამგვარად გასუფთავებულ თევზებს ჭერიან მარილ წყალში, აჩერებენ რამდენსამე ხანს, შემდეგ გარეცხენ. ჩაჭერიან კალათებში და კალათში თევზს წყალი შორდება და ცოტათ შრება, შემდეგ ორი-სამი წუთით ჭერიან ადულებულ ზეთში. რაც უფრო კარგი ზეთია, მით უფრო გემრიელია თევზი. ზეთიდან ამოღებულ თევზებს ალაგებენ თუნუქის კოლოფებში, მიასხამენ ზედ კიდევ ზეთს, შემდეგ ისე დახურავენ სახურავს, რომ ჰაერი სრულებით შიგ არ ჩავიდეს. ასე დამზადებულ კოლოფებს ჩააწყობენ ქვაბებში, სადაც წყალი დუღს, მერე დადგამენ ცეცხლზე და დიდ ხანს ადუღებენ. აქედან ამოღებული კოლოფები იგზავნება დედა მიწის ყოველ კუთხეში და არც წასდება შიგ თევზი, თუნდ კოლოფი ერთი ორი წელიწადი იყვეს გაუხსნელი.

— ძია, ეხლა ისიც აგვიხსენი, თუ რა მიზეზია, რომ თევზი ამ კოლოფებში არ ფუჭდება ამდენ ხანს.

— ის მიზეზია, ჩემო კარგო, რომ ჰაერი არ ჩადის შიგ. სხვა რამე სანოვაგე რომ აგრე შევინახოთ, ისიც დიდხანს შეინახება, მაგალითად: მწვანილი და სხვა ბოსტნეულობა. თითქმის ასი წელიწადია მას შემდეგ, რაც აგრე შენახვა შემოიღეს თევზისა და სხვა სანოვაგისა, მეცნიერულათ ახსნა კი, რისთვის არ ფუჭდება ასე დამზადებული სანოვაგე, შეიტყეს ოცდა ათი და ორმოცი წლის წინეთ; ეს გადმოგვცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დიდებულმა მეცნიერმა ფრანგმა ლუი პასტერმა, რომლის სახელს თქვენ უთუოდ არა ერთხელ გაიგონებთ შემდეგ.

— მე გამიგია კიდეც, რომ მან ხუნაგის წამალი გამოიგონა, თქვა ერთმა.

ბავშვებმა სთხოვეს მეზღვაურს, რომ მას აეხსნა მათთვის თუ რა აღმოაჩინა პასტერმა, ამგვარათ შენახულ სანოვაგის შესახებ.

— კარგი, აგიხსნით, მაგრამ უური კარგათ დამიგდეთ, თორემ, ვშიშობ, ვაი თუ ვერ გაიგოთ, რადგან ცოტა ძნელი გასაგებია თქვენთვის.

,,თქვენ უთუოთ გაგიგონიათ, რომ გარდა იმ ცხოველებისა და მცენარეებისა, რომელსაც ჩვენ თვალით ვხედავთ მრავალნი უჩინარნიც არიან. თუ არ გამადიდებელი შუშით მათი დანახვა არ შეგვიძლია, უველაზე პატარები ამ უჩინართა შორის არიან ბაკტერიები, რომლებსაც მხოლოთ კარგ გამადიდებელ შუშაში (მიკროსკოპში) დავინახავთ. ბაკტერიები განსხვავებული სოკოები არიან, თითეული მათგანი წარმოადგენს ერთ იოტის ოდენა ორგანიულ ნამცეცს. ბაქტერიები თითქმის უკვდავნი არიან, ადვილად არ კვდებიან, შეიძლება გაეინო ბაკტერია, გაახმო, ძალზე გააცხელო, ესენი მაინც არ იხოცებიან, თუ კი მოასწრო თავის სხეულში მომავალი შთამომავლობის ნასახის ჩასახვა. სიცხე და სიცივე, რომელიც ჰკლავს მთავარ ბაკტერიას, სრულიად უვნებელია მათი თესლისათვის, რომლისგანაც ძალე ახალი ბაკტერია აღმოცენდება. საშინელი სიხწრაფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავლდებიან ბაკტერიები და რადგან ისინი მეტად პატარები არიან—ქარს ადვილად გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე, ავსებენ ჰაერს, წყალს, ნიადაგს, სცვივიან ჩვენს ტანისამოსზე, კანზე, ერთი სიტყვით საითაც უნდა გაიხედო ყველგან აუარებელი ბაკტერიებია; ეს დიდ ვნებასაც აძლევს ყველაფერს რასაც კი შეესევა. ერთი ბეწო დამპალი ხორცი რომ გასინჯოთ გამადიდებელ შუშაში, დაინახავთ აუარებელ რიცხვს ბაკტერიებისას და ადვილათ ახსნით თუ რამ დაალპო ხორცი. ასე რომ ერთ ნამცეცა ბაკტერიას შეუძლია შთანთქოს უზარმაზარი სპილო. თუ ძნელი გასაგებია ჩემი ნათქვამი ერთს, შედარებას კიდევ მოგიყვანთ და იქნება მაშინ უფრო გაიგოთ. ერთი იოტის ოდენა მტვერი რომ ჩავაგდოთ ერთ ჭიქა წყალში სრულებით უმნიშვნელოთ ჩაივლის, წყალს არაფერი დაეჩნდება. მაგრამ თუ ეს პატარა ნამცეცების აუარებელი რიცხვი მიაყარა ქარმა ერთ ადგილას, მთელ ტბას დაფარავს, არა თუ ერთ ჭიქა წყალს. სწორეთ ეგრეა ბაკტერიებიც. ერთი ბაკტერია არაფერია—უმნიშვნელოა, მაგრამ ის ერთი—სწრაფად იქცევა მილლიონებათ და უსპობს სიცოცხლეს ცხოველს და მცენარეს.

„ესლა, ამის შემდეგ, თქვენ კარგათ იცით რა საშინელი შედეგი მოჰყვება ერთი ბაკტერიის სადმე ჩაბუდებას, ამისათვის უნდა ვეცადოთ შესანახავი საგნოვაგე დავიფაროთ ბაკტერიებისაგან. პირველათ ჩვენ უნდა დავხოცოთ ის ბაკტერიები, რომლებიც არიან თევზში ან თევზზე, მერმე უნდა შევინახოთ ისე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ კოლოფში არ ჩაუშვათ ჭაერიდან არც ბაკტერია და არც მისი თესლი. ამისთვის არის რომ ჯერ ადუღებულ ზეთში ორი-სამი წუთით ჭერიან თევზებს, შემდეგ აწყობენ კოლოფებში და სურავენ სახურავს ისე, რომ ჭაერი არ ჩავიდეს, ამით უსპობენ ბაკტერიას ჩასვლის გზას. შემდეგ კიდევ ადუღებენ დიდხანს; ამით ხოცვენ კოლოფში დარჩენილ ბაკტერიას ან მისს თესლს. ამგვარად შენახული სანოვაგე არ ფუჭდება, ძლიერ დიდ ხანს ინახება. რაც უფრო კარგათ დამზადებულია თევზი, მით უფრო დიდხანს სძლებს. თუ ან თევზი არ იყო კარგი, ან ზეთი არ ვარგოდა, მაშინ თევზი ფუჭდება, ლპება კოლოფში და ხშირად მოხდება, რომ სწამლავს კიდეც ადამიანს. თუ კოლოფი კარგი თუნუქისა არ არის, ისიც აფუჭებს თევზს და სწამლავს კაცს. გარეგანი შეხედვით ძნელი გამოსაცნობია გაფუჭებულია თუ არა კოლოფში თევზი, მხოლოდ თუ თევზი გაფუჭებულია—კოლოფი ამობერილია, იქ ჭაერი შესულა და უთუოთ ბაკტერიებიც იქნებიან. ამ ნაირი კოლოფი არ უნდა იყიდოთ".

ამ სიტყვებით დაასრულა მეზღვაურმა საუბარი წვრილ თევზების კოლოფზე. ბავშვები, ძრიელ კმაყოფილნი საუბარით, გავიდენ დიდ ოთახში, სადაც გამართეს მხიარული ცეკვა-თამაში.

(რუსულიდან)

ია ნაკაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატვრის ბეჭედი.

(ზღაპარი)

ერთ ახალგაზრდა გლეხს ხნულებში გუთანი შეეჩერებინა, ხედ დამჯდარიყო, ისვენებდა და დაღალული პირისახეზე—ოფლს იწმენდდა. გლეხი მუშაობაში ძალიან უდოვლათო იყო. ამ დროს მიეპარა მას ჭინკა და ერთბაშად შესძახა: რად იძაღლებ წუთისოფელს, ხომ ხედავ შენ საქმეს ბარაქა არა აქვს. გასწი, იარე და ორის დღის შემდეგ მიადგები ერთს უზარმაზარ ნაძვს, გადასჭერი ის ნაძვი და შენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფსო.

გლეხი მაშინვე ზეზე წამოვარდა, ცული ხელში აიღო და გასწია. იარა, იარა და ორი დღის შემდეგ მართლაც მიადგა უზარმაზარ ნაძვს. მოიმარჯვა ცული, შემოჭრა რამდენჯერმე და ხეს ძირს ტუაპანი მოადებინა. ხეზე მიმალულ ბუდიდან ორი კვერცხი გადმოვარდა და ორივე გატეხა: ერთიდან არწივის ბაბალა გამოფრინდა, მეორედან კი ოქროს ბეჭედი გამოვარდა. ბაბალა იზარდა, იზარდა და ხელად ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცის ოდენა გახდა. შემდეგ ფრთა ფრთას შემოჭკრა და გლეხს გადმოსძახა: რადგან თავისუფლება მაჩუქე, აი ეგ ნატვრის ბეჭედი, რომელიც მეორე კვერცხიდან გამოგორდა, შენთვის მიჩუქებია. როდესაც რისამე ნატვრა მოგინდება, აიღე, ხელზე გაიკეთე, რაც გინდა ინატრე და ყველაფერი აგისრულდებაო. მაგრამ იცოდე, ერთხელ რომ ინატრებ, მერე ბეჭედი ოთველივე ძალას დაჭკარგავს და ჩვეულებრივ ბეჭედათ იქცევაო. ამიტომ იფიქრე და ისე ინატრე, რომ ბოლოს აღარ ინანოო.

სთქვა თუ არა არწივმა—მაღლა აფრინდა, კარგა ხანს თავს დასტრიალებდა და შემდეგ ცის სივრცეში გაჭქრა.

გლეხმა აიღო ბეჭედი და შინისაკენ გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთს ქალაქს. აქ ოქრომჭედელთან შეიარა, ბეჭედი უჩვენა და ჭკითხა რა ღირსო, ოქრომჭედელმა უპასუხა—ბევრი არაფერიო. გლეხმა ჩაიცინა და მიუგო; ეს ბეჭედი ნატვრის ბეჭედია და მთელ შენს ოქროულობაში არც კი გაგიცვლიო. ცბიერმა ოქრომჭედელმა გულში ცუდი აზრი გაივლო და უთხრა: სწორედ ბედნიერად მიმაჩნია ეგეთი განძის პატრონის წვევა, მოდი ამაღამ ჩემთან დარჩიო. შემდეგ დაუწყო პირფერობა, ვახშმათ კარგი ღვინო მოუტანა, დაათრო და როდესაც დაამინა, ნელ-ნელა ნატვრის ბეჭედი თითიდან წამოაძრო, სამაგიეროთ კი უბრალო გაუკეთა.

ინათლა თუ არა, მასპინძელი სტუმარს თავზე დაადგა, გააღვიძა და უთხრა: ესლა კი დროა წახვიდე, ხომ იცი რა შორი გზა გიძევს წინაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისტუმრა თუ არა გლეხი, ოქრომჭედელი გასა-
რებული შევიდა ოთახში, კარი ურდულით ჩაიკეტა,
დარაბები დაჭხურა, დადგა ოთახის შუა, ბეჭედი ხელ-
ზე გაიკეთა და ამაუად ინატრა ათასი თუმანი.

სთქვა თუ არა ესა, დაიწყო კოკის-ჰირული ფუ-
ლის წვიმა. სცვიოდა ვერცხლის მანეთიანები და შავი
ფული. ოქრომჭედელს სულ დაებეგვა თავი, ზურგი და
ხელფეხი. მორთო უვირილი და აბა ნუ იკადრებდა გაქ-
ცევას! მივარდა კარებს, მაგრამ ვეღარ გააღო და ძირს
ტეაპანი გასძვრა. სულ სისხლში სცურავდა. უბედური.
ფულმა იმდენი იწვიმა, სანამ ათასი თუმანი არ შესრულ-
და, მაგრამ იატაკმა ვეღარ გაუძლო, ჩატეხა და ოქრომ-
ჭედელიც თან ჩაიტანა. მოცვივდენ ნათესავები და რა
დაინახეს უზღვავ ფულში ჩაფლული კაცი—გაიძახოდენ:
„ზედმეტი ბედნიერება უბედურებაა“ ჩავიდენ სარ-
დაფში და ფული წაიღ-წამოიღეს.

ამასობაში გლეხი შინ დაბრუნდა, მიუბრუნდა თა-
ვის ცოლსა და უთხრა:—ხედავ, ნატვრის ბეჭედი მო-
ვიტანე, ესლა ჩვენ ბედს ძაღლი აღარ დაჭეეფს, მხო-
ლოდ კარგად უნდა ვიფიქროთ თუ რა ვინატროთ.

— იცი რა ვინატროთო? უთხრა ცოლმა,—მინ-
დორში რომ ერთი ჰატარა ნაჭერი მიწა გვაქვს, იმა-
ზედ მობმული სახნავი.

—აბა, მაგის გულისათვის ნატვრის თვალს რო-
გორ დავაკარგვინებ ძალასაო, უთხრა ქმარმა—მოდი
ერთს წელიწადს მუეაითად ვიმუშაოთ, ფული ვიშოვოთ
და ისე ვიეიდოთ ის სახნავი მიწა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილებო! ამიწერეთ აქ დახატული სურათები და ვისი აღწერაც უკეთესი გამოდგება, ჟურნალში დაიბეჭდება და საჩუქრათ ერგება მარკ-ტვენის დასურათებული მოთხრობა: **„ტახტ-ს მემკვიდრე და მათხოვარი“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძის მიერ.)

უსულოსა, უგულოსა—
ცხრა პერანგი აცვია.

—

აბანოს თეთრი ბატები—აბანოს ებანებიან,
იმათი ნასვამ-ნაჭამი ხელმწიფეს ეკადრებიან.

გამოცანებისა: ნარდი, ფუტკარი.
რებუსისა: თავს გვაფარია ბანივით,
სუმბუქია და ვრცელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თინათინი.

მინდვრად დარბოდა თინათინ,
მას გაულიმა იამა,
მოსწყვიტა კრძალვით, რიდებით
და გულში ძლიერ იამა!

—

ია იქით გადააგდო
ოდეს ნახა იასამან
და მოსწყვიტა, მაგრამ თავი
მოამდურა იას ამან!

—

იქვე ახლოს ვარდი ნახა,
მოიხარა, სრულად დასწვდა,
გულის თრთოლვით მიესალმა,
გაიშვირა ხელი და სწვდა...

—

მაგრამ ბულბულმა მისძახა:
— „აღარ მოსწყვიტო, ახ! არა!.“
შემდეგ გალობით მიდამოს
ვარდის ამოსვლა ახარა;

—

თინამ სთქვა: — „ვარდის მოწყვეტა
რომ დამიშალე ნეტა რად? —
გულს ჩავიკრავდი კეკლუცსა
გასახარად და ნეტარად!“...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

იას მიმართა, ეგონა
მოსწყვეტდა იმას აწიცა,—
მაგრამ შემოწყრა მას მიწა,
და გაურისხდა აწი ცა!

—

მაშინ თინამ სთქვა ტირილით:
—„მეკრძალვის და მეშინია,—
მარტოკა ვარ, უმეგობროდ,
აღარა მაქვს მე შინ ია!

—

თვალ-ცრემლიანსა მას შემდეგ
კვლავ გაუღიმა იამა...
მოსწყვიტა, სახლში წაიღო
და გულში მეტად იამა!

ლუდო გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგის ლეკვი.

ერთ-ერთ ინდოეთის სოფლის განაპირას ცხოვრობდა ერთი განთქმული მონადირე, სახელათ ჯარუსი. ჯარუსს ჰყავდა ცოლი, ორივაჟი შვილი (უფროსს ერქვა არისტოუმცროსს—სოსია) და ერთიც ქალი. შვილი--კუდური. თვით ჯარუსი შთამომავლობით ინდოელი არ იყო. იგი ჩრდილოეთის ქვეყნებიდან იყო გადმოსახლებული ინდოეთში, განსაკუთრებით ნადირობის გულისთვის, და მართლაც ათი წლის განმავლობაში ბევრი ნადირი დახოცა, მშვენიერათ შეისწავლა ნადირობა, თან სიმდიდრეც შეიძინა.

ერთს მშვენიერ ზაფხულის დღეს, დილით, ჯარუსმა თავლიდან გამოიყვანა თავისი ოქროს ფერი ლამაზი ცხენი, შეადგა ოქრომკედით გაწყობილი უნაგირი და მიაბა ეზოში ხეზედ. ცხენი ისეთი კარგი იყო, რომ იტყვიან „ავ თვალს არ ენახვებოდა". თვითონ ჯარუსი შევიდა თავის ოთახში, სადაც იარაღები ეკიდა, ჩაიცვა სანადირო ტანისამოსი, შემოიკრა თოფი, ფიშტი, ხმალი და ხელში დაიჭირა გრძელი რკინის წვეტიანი ჯოხი. გამოვიდა შეიარაღებული ჯარუსი აივანზედ, მივიდა, ჩხარა-ჩხურით, იქვე მჯდომ ცოლთან, გამოეთხოვა ცოლს, ბავშებს და ჩამოვიდა ეზოში. ერთგული ცხენი თავის ამაყს მხედარს ფთხვენითა და ფეხების ბაკაბუკით უცდიდა. ჯარუსი სწრაფათ მოახტა ცხენს, გაიყვანა ჭიშკარში და სამხრეთისკენ გააფრინა. ცხენი მხედარს მიაქროლებდა ქარივით, ისინი თან და თან პატარა წერტილს ემზგავსებოდენ და ბოლოს ტყის ფოთლებში შეიმალენ. ჯარუსი მიდის და მიდის უდაბურ ტყეში, უფრო და უფრო ღრმათ. ტყე თან და თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუვალი ხდება, უზარმაზარ ხეების ძირები ერთი მეორეს-თან გადახლართულან ეკლის გრძელ და კბენია ყლორტებით, ცხენი მედგრათ მიაქანებს პატრონს, ხშირათ ჯარუსი გახლართულ გზას ხმლით იკაფავს, მიისწრაფება წინ და წინ. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, ცხენი უეცრივ შესდგა, ყურები აიცქვიტა და დაიფრთხვინა. ჯარუსმა ქუსლი ჰკრა ფერდში, მაგრამ ცხენი ადგილიდან აღარ დაიძრა. ჯარუსი მიხვდა, რომ ცხენმა რაღაც შენიშნა, იგი ადგილიდან არ იძროდა. მონადირემ მიიხედ-მოიხედა, თოფი ხელთ იგდო, მაგრამ ვერაფერი დაინახა. შემდეგ ცხენს დააკვირდა და იქით გაიხედა, საითაც ცხენი იყო მიჩერებული და მოშორებით დაინახა პატარა მინდორი მწვანე ბალახით მობიბინე, რომელსაც გარს შემორტყმოდენ უზარმაზარი ხეები, შტოები თავიანთი ხშირი ფოთლებით მზისგან იფარავდენ მინდორს, ათასნაირ მინდვრის ყვავილებით შემკულს. შუა ადგილს წამოწოლილიყო ლომი, რომელიც თავის პატარა ლეკვს ეთამაშებოდა. ჯარუსმა ცხენი იქვე ხეზედ მიაბა, თვითონ-კი ფეხ აკრეფით მიეპარა ახლო მანძილზედ დედა-შვილს. პატარა ლეკვი ხან თავზედ შეახტებოდა დედას, ხან ზურგზედ, ხან გულში ეხუტებოდა თავის მძლავრს და ამაყს დედას. ლომი გადაბრუნდა გვერდზედ და თამაში დაუწყო თავის საყვარელ შვილს, ჩაიკრა მაგრათ გულში, ალერსიანათ რაღაც ჩაიბუტუნა, დაუწყო ლოკვა, კოცნიდა. მერე ლეკვიც შეხტა—შემოტრიალდა. ისევ დედას მივარდა და თავისი ნორჩი ცხვირით კისერში ჩაეკონა, მერე მივარდა ძუძუებს. ლომმა მიუშვა ძუძუზე და პატარა ლეკვმაც წოვა დაუწყო დედის ტკბილ ძუძუს. ამ დროს ჯარუსმა ხელახლათ გადასდგა ფეხი ფთხილათ, მაგრამ ფეხზედ უეცრათ ეკალი მოედო და ფოთლებმა შრიალი დაიწყეს. ლომმა ყურები აცქვიტა, ცხვირი ასწია და ჰაერს ჯერ ერთი მხრისკენ უდინა სუნი, მერე—მეორე; როგორც კი ცხვირი იმ მხარეს მიაბრუნა, საითაც ჯარუსი იყო, ელვის უმალეს წამოხტა ზეზე. ჯარუსი ხეს მიეფარა, თოფი მოიმარჯვა. ლომმა მრისხანე თვალებით გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ერთი სასტიკი, საზარელი ხმით დაიღრიალა. პატარა ლეკვს ძუძუზე გაშვერილი ტუჩები სახტათ დარჩა. შეშინებული მივიდა და დედის ფეხებს შუა მოიკუნტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომმა კვლავ დაიღრიალა, ის იყო დაინახა მისკენ მოდ-მართული თოფის ლულა და მოისმა კიდეც შემზარავი გრიალი. ეს იყო ჯარუსის თოფი, ერთი თვალის დახამხამებაზე გამოვარდა შეუბრალებელი ტყვია და გვერდში მოხვდა ლომს. ლომი დაეცა, მაგრამ სწრაფათ ისევ წამოხტა, და საშინელის ღრიალით მივარდა იმ ადგილს საიდანაც თოფი გავარდა. ის იყო თავის მძლავრ ბრჭყალებში უნდა ჩაეგდო მოსისხლე მტერი, როდესაც მის გაშმაგებულ ხახაში მწარეთ ჩაერჭო წვეტიანი რკინა, და რამდენათ იგი მტრისკენ იწევდა, იმდენათ ულმობელი რკინა ღრმათ ესობოდა ხახაში. სისხლი ღელეთ გადმოსჩქეფდა ჭრილობიდან და პირიდან, მან მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და მძლავრათ მიიწია მტრისაკენ, მაგრამ რკინა უფრო მძლავრათ ჩაერჭო ხახაში და სისხლი ხრიალით გადმოუვიდა პირიდამ, ლომს ძალა გამოელია, ყოველ მის დაღრიალებაზედ სისხლი შადრევანივით გადმოქუხდა და ძალა მიხდილი საბრალო მიწაზე დაეცა. ჯარუსმა ისარგებლა წუთით, შეაბა კისერზედ მსხვილი ბაწარი და ხეზედ დაიწყო გამობმა. როცა ჯარუსი ბაწარს ხეზედ აბამდა, პატარა ლეკვმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უკბინა ჯარუსს მარცხენა ფეხზედ. ჯარუსმა გაიძრო ხმალი და ლეკვს ყუით თავში მაგრათ ჩაჰკრა. საბრალოს თავ-ბრუ დაესხა, დაბარბაცდა და დედის გვერდით წაიქცა. ჯარუსი ისევ ბაწარს მიუბრუნდა და მიაბა ხეს. მერე თავისი ნაკბენი ადგილის ცხვირსახოცით შეხვევა დაიწყო. ამასობაში ლეკვი კვლავ გონს მოვიდა, კიდევ მივარდა ჯარუსს საკბენათ, მაგრამ ჯარუსმა სტაცა კისერში ხელი დი ცხვირით ხეზედ მაგრა მიაჩაჩქუნა. ლეკვი არ სცხრებოდა და მწარეთ წკმუოდა, გულმოსულმა ჯარუსმა მოიქნია ლეკვი და მძლავრათ მიარტყა ხეს. ლეკვს ისევ თავ-ბრუ დაესხა, ხმა გაკმინდა, მაგრამ ისეთი საბრალო თვალებით შეხედა ჯარუსს, რომ გრძნობიერი ადამიანი ვერ შესძლებდა. ჯარუსი გამოცდილი და შეჩვეული მონადირე იყო და არაფრად ჩააგდო. ჯარუსმა შეიხვია ნაკბენი ადგილი, შებოჭა თავბრუ დასხმული ლეკვი, მოახტა თავის ცხენს და გასწია შინ. მივიდა თუ არა სახლში, ლეკვი პატარა რკინის გალიაში ჩააგდო. ბავშვები შემოეხვივნენ და დაუწყეს ცქერა. პატარა კუდურა კი მაშინვე შეეხვეწა მამას—მამა-ჯან ეს ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მია, ხომ ჩემია, ხომ?.. ჯარუსიაც უპასუხა: შენც პატარა და ეგეც, მაშ, შენია შვილო, შენი! ახლო არ მიხვიდე, თორემ გიკბენს. მამამ ბავშვები გააფრთხილა, ყველას ახლო მისვლა აუკრძალა, თვითონ კი მეზობლისას გადავიდა, რომ წაეყვანა ვინმე დედა ლომის მოსატანათ.

ჯარუსის ტყეში დაბრუნებამდე ლომს სისხლი შესწყვეტოდა, ტკივილები კი უფრო მწარეთ აწუხებდა, მან ოდნავ ღონე მოიკრიფა, წამოიწია და საბრალოთ დაიღრიალა. ხმას აძლევდა თავის შვილს, ფიქრობდა რომ დედის მწარე ღრიალზედ შვილი პასუხს გასცემდა, მაგრამ ამაოთ, არსაიდამ არა ისმოდა რა და ამითი დარწმუნდა, რომ მისი შვილი ახლოს აღარსად იყო, რომ ის უბედურებას გადარჩა და თავს უშველა. საბრალო ლომმა ღრმათ ამოიხვნეშა.

გამოჩნდა ჯარუსი თავისის მეზობლით. ლომმა დაინახა თუ არა, თავი მოიკვდარუნა. უნდოდა ჯარუსი ახლოს მიეტყუებინა; უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა, რომ მაგრათ ჩაერჭო მოსისხლე მტრისათვის თავისი ბასრი ბრჭყალები, მაგრამ შესცდა საბრალო. ჯარუსი გამოცდილი მონადირე იყო, სანამ ახლოს მივიდოდა, გრძელ ჯოხზედ მობმული ბაწარი კისერზედ ჩამოაცვა, შემდეგ ჯოხის ბოლო მეზობელს მისცა ხელში, თვითონ კი მივიდა ხესთან ბაწრის ასახსნელათ, ჩამოხსნა ბაწარი და მოსწია თავისკენ მწოლიარე ლომი. ლომმა მოიკრიფა ძალღონე წამოხტა და ის იყო დააპირა ჯარუსისკენ გადახტომა, რომ ჯარუსის ამხანაგმა მოსწია ბაწრიანი ჯოხი და ბაწარმა მოუჭირა ლომს კისერში. აქეთ ჯარუსმა გაა-მოსწია, იქით იმან და კინაღამ დააღრჩეს. ლომი ღონე მიხდილი წაიქცა. ჯარუსმა თავზედ გადააცვა ბადე და ამ რიგად ლომს მოუსპეს მტერთან წინააღმდეგობა. ბაწრებში გაუყაოეს დიდი ჯოხი, ასწიეს, ერთის ვაი ვაგლახით მიიტანეს სახლში და შეაგდეს ერთს მოზრდილ რკინის მესრებით შამოვლებულ გალიაში. ლომი წამოხტა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ყოველგან რკინას ეხლებოდა, დაღალული ღრიალით კვლავ წაიქცა. ამნაირ ბრძოლაში გაატარა ლომმა მთელი ღამე. გათენებისას დაღალულობით, ჭრილობით და შიმშილით, ღონე გამოელია და უგრძნობლათ დაეცა ძირს. ოდნავ ითქვავდა სულს, მთელი დღე არაფერი აჭამეს და მკვდარივით ეგდო. სამხრობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარუსმა გამოიტანა ხორცის ნაჭერი, შეაგდო გალიაში და მიჩოჩა ჯოხით ლომის ცხვირთან. ლომმა იგრძნო ხორცის სუნი, მოიკრიფა ღონე, წამოხტა და სწრაფულ შეჭამა. თან და თან თითქო ღონე მოიკრიფა: გაიხედ-გამოიხედა, ყველგან რკინის მესრები დაინახა, რომლებიც უსპობდენ მას თავისუფლებას. აღარსად სჩანდა მისი საყვარელი მწვანე, დაბურული ტყე. რკინის გალიას გარს შემორტყმოდენ სოფლის ხალხი, რომელნიც მოსულიყვენ ლომის სანახავათ. ქალები დასცინოდენ: მაგაზედ იძახიან, რომ ცხოველების მეფეაო? ლომი კი გამწარებული და აღშფოთებული მიდი-მოდიოდა, გასაძრომ ადგილს ეძებდა, მაგრამ ამაოთ! ცოტა ხნის შემდეგ ჯარუსმა მოიყვანა მასთან ლეკვი. ლომმა შორიდან შეხედა მას, მაგრამ არ უჯერებდა თავის თვალებს თუ ის მისი შვილი იყო და მისჩერებოდა. როცა ჯარუსმა ახლოს მოიყვანა, ლეკვმაც შენიშნა დედა და საცოდავათ დაიღმუილა. ახლა კი დარწმუნდა დედა ლომიც, რომ მისი შვილიც ტყვეთ იყო წამოყვანილი, და დაიწყო გულის შესაზარელი ღრიალი, ეცა თავგამეტებით რკინის მესრებს, ებრძოდა, უნდოდა გაეგლიჯა და გაენთავისუფლებინა ჯარუსის ხელიდან თავისი საყვარელი შვილი, მაგრამ ვერა გააწყო რა. რკინის მესრები ლომზედ ღონიერი გამოდგენ. საბრალო, მოქანცული წაიქცა და დაიშინა თავ-პირში ტორები, იგი ღრიალობდა, ცხარე ცრემლებს ღვრიდა, ცეცხლივით ანთებულ, ბრაზ მორეულ თვალებიდან. ჯარუსმა ლეკვი დედასთან გალიაში შეაგდო. დედა ლომი წამოხტა ზეზე, და ღრიალით ლეკვი მაგრა გულში ჩაიხუტა, მაგრამ ღონე მიხდილი ლომი დიდხანს ვეღარ გაჩერდა ფეხზე და წაიქცა, ლეკვი კი გულში ჰყავდა ჩახუტული, აღარ უშვებდა, საბრალო ლეკვიც ალერსიანათ შესწკმუტღნებდა თავის დედას და კუდის ქიცინით გამოხატავდა თავის უსამზღვრო სიყვარულს უბედური დედისადმი. კარგა ხანს იყვენ ჩახუტებული დედა-შვილი. შემდეგ ლეკვმა ძუძუებისაკენ გაიწია. მას ძალზედ ჰშიოდა, მაგრამ საბრალომ დაიღმუვლა და გვერდზედ გადახტა შეშინებული, როდესაც დაინახა დედის დაჭრილი, გასისხლიანებული გვერდი, ლეკვის თვალები ცეცხლივით აენთენ, ბრაზ მორეულმა გადმოჰყმუვლა მაყურებელთ, თითქო ეუბნებოდა: „თქვე ულმერთოებო, რისთვის მომიკალით საყვარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა.“ ლეკვმა დაჭრილ ადგილს დაუწყო ლოკვა, მერე ძუ-ძუებისკენ გაიწია, მაგრამ რაკი რძე არ იყო—გაუშვა პირი ძუ-ძუს და დედას ცხვირზედ დაუწყო ლოკვა, შემდეგ კისერში მიეხუტა, და ამ ნაირათვე მიეძინათ ორივე დაქანცულ დედა-შვილს.

დადამდა, მაყურებელნი დაიშალენ და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდენ. მეორე დღეს გათენდა თუ არა, პატარა კუდური სწრაფათ წამოდგა, ჩუმათ გააღო სამზარეულოს კა-რები, მონახა თუ რამე იყო პურის ნატეხები, ძვლები, ერთი პატარა ხორცის ნაჭერი და ლომებს გალიაში შეუყარა, მერე შეიპარა ისევ თავის საწოლ ოთახში და დაწვა.

დედა ლომი ოან და თან უკეთ ხდებოდა; ერთი თვის განმავლობაში თითქმის იარები მოურჩა. ლეკვი გამოიყვანეს იქიდან და ცალკე პატარა გალიაში შეამწყვდიეს. მას განსა-კუთრებით უვლიდა კუდურა. ჯარუსიც კარგათ აჭმევდა ლო-მებს, ბლომათ აძლევდა საჭმელს, უნდოდა ამით მოეშინაუ-რებინა და მოეგო ლომის გული. ხშირათ ლეკვი დედასთან მიჰყავდათ, შეაგდებდენ დედის გალიაში და ორ სამ დღეს სტოვებდენ დედასთან. ბევრჯერ ჯარუსი პატარა ლეკვს მო-აბამდა კისერზედ ბაწრიან ჯოხს და ეზოში დაატარებდა. ლე-კვს ყველანი აჭმევდენ, ეფერებოდენ, მაგრამ ის გრძნობდა, რომ მხოლოთ პატარა კუდურის მოფერება იყო გულწრფელი, და თვითონაც მის მოტანილ საჭმელს ეფრო გულიანათ შეექცე-ოდა ხოლმე. დაინახავდა თუ არა კუდურას დაიწყებდა ღმუ-ილს.—„საჭმელი მაჭამეო.“ კუდურა მიხვდებოდა, შეიპარებოდა სამზარეულოში, თუ რასმეს მოახელებდა მიურბენინებდა და აჭ-მევდა.

ლეკვი თან და თან იზრდებოდა, თან მშვენიერდებო-და, კისერზედ ხუჭუჭი თმა გაეზარდა, ამაყი შეხედულება მიიღო, კუდურა „ფაფარას“ უძახოდა. ლეკვიც შეეჩვია სახელს. ფაფარა და კუდურა ნამდვილი მეგობრები გახდენ. როგორც კი დაიძახებდა კუდურა: „ფაფარ! ფაფარ! ფაფარაც ღმუილს დაიწყებდა; ნიშნათ სიყვარულისა, კუდს გააქიცინე-ბდა, და შესცქეროდა პატარა კუდურას თვალებში. როცა საჭმელს მიუტანდენ სხვები, თვითონ არა სჭამდა, დედას და-უთმობდა ხოლმე, იცოდა რომ მისთვის კუდურა იზრუნავდა.

ასე მეგობრობაში გაატარეს კუდურამ და ფაფარამ მთელი წელიწადი. ფაფარა გაიზარდა, დამშვენდა, მის გრძელ თმიან თავ-კისერს აძლევდენ ბრიალა, ცეცხლ-ფრქვევი თვალები მრისხანე და მედიდურ შეხედულებას. დაინახავდა თუ არა კუდურას, მრისხანე თვალებს მოხუჭავდა, აღერსიან შეხედულებას მიიღებდა, ნელა-ნელა ლუღლუღს დაიწყებდა, ხშირათ წაგორდებოდა ხოლმე და შორიდანვე ეალერსებოდა. ბოლოს ფაფარა დედასთან გადაიყვანეს. ფაფარა ⁊ კუდურა ისე შეეჩვიენ ერთმანეთს, რომ კუდურა რკინის მესრებში შეჰყოფდა თავის პაწაწა ხელებს და ფაფარა ლოკვას დაუწყებდა. კუდურა გამოვიდოდა თუ არა სახლიდან, უსათუოთ დაუძახებდა: „ფაფარ! ფაფარ!“ ფაფარაც გაიგონებდა თუ არა კუდურას ძახილს შეჰლმუვლებდა, ნიშნათ მისა, რომ დაგიცდიო.

ერთს დღეს, ჯარუსმა მოაბა „ფაფარას“, ჩვეულებისამებრ, ბაწრიანი ჯოხი და გამოიყვანა გალიიდან. კუდურა შეეხვეწა მამას: მამა! გაუშვი, ეს ჩემი ფაფარაა, არსად არ წავა. ჯარუსი არ ენდობოდა, მან არ იცოდა თუ ფაფარა და მისი კუდურა დამეგობრებულიყვენ. მას ვერ წარმოედგინა ლომთან ბავშვის მეგობრობა. კუდურა მიეპარა მამის უკან მიმავალ „ფაფარას,“ მივიდა პირდაპირ პურით ხელში, „ფაფარა“ კუდის ქიცინით მიეგება კუდურას. სახეზე ენა გადაუსვა, კუდურამ პური ჩაუდო პიოში, იმანაც შესჭამა. მოიხედა ჯარუსმა და შიშისგან ფერი წაუვიდა: იფიქრა, რომ ფაფარა კუდურას დაგლეჯსო მამილო! ნუ გეშინიან, ეს ჩემი ფაფარაა, მე არ მერჩის. კუდურა თავზედ ხელს უსვამდა, ფაფარა წაავლებდა პირს ხან ფეხზედ, ხან ხელზედ, მაგრამ ფთხილათ, ისე რომ კბილებს არც კი მიაკარებდა. ჯარუსს ძალიან გაუკვირდა ბავშვის და ფაფარას საქციელი. შემდეგ ჯარუსმა ისევ გალიაში დედასთან შეაგდო ფაფარა, რომელიც თითქმის დედის ხელა გახდა, მაგრამ გაცილებით უფრო ლამაზი იყო. ამ რიგათ გაიარა რამოდენიმე თვემ, კუდურა მივიდოდა ხოლმე გალიასთან და ეთამაშებოდა თავის ფაფარას.

(დასასრული იქნება)

ილიკო ფალიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კოპერფილდი.

ჩარლზ დიკენსის მოთხრობა.

VII

ჩემი ბედი სწყდება.

ეორე დილას, ქვევით რო ჩავედი, დიდედა ჩაისა სვამდა. ფიქრებს ისე გაეტაცნათ, რომ სამოვრის ლულა მოეშვა, წყალი ჩაიდანიდან სინზე იღვრებოდა, ის კი ვერაფერს ამჩნევდა. მივხვდი, რომ ჩემზე ფიქრობდა.

— მივწერე, მითხრა დიდედამ, როცა საუზმეს მიუჯექი.

— ვისა?

— შენ მამინაცვალს და შევატყობინე, რომ აქა ხარ.

— უნდა უკანვე გამგზავნოთ? თავ-ზარდაცემულმა უთხარი.

— არ ვიცი, მიპასუხა დიდედამ—ვნახოთ.

— ვინ იცის რა დამემართოს, უთხარი,—თუ ბ-ნ მორდსტონთან დავბრუნდები.

— ეხლა ვერაფერს გეტყვი, მიპასუხა დიდედამ.

ამ სიტყვებმა ჩემზე ცუდათ იმოქმედეს; თავი ჩავკიდე და კინალამ გული არ წამივიდა, მაგრამ დიდედა არაფერს ამჩნევდა. ბ-ნ დიკზე დამიწყო ლაპარაკი და თუმცა ცხარედ უარჰყოფდა ჩემ აზრს, რომ ბ-ნი დიკს ცოტა გიჟია, მაინც მიამბო, რომ ბ-ნი დიკის ნათესავებს უნდოდათ საგიჟეთში ჩაესვათ, მაგრამ მე წამოვიყვანე, რადგან ჩემის აზრით ის სხვებზე გიჟი არ იყოს. ბ-ნ დიკს, თურმე, თავის თავი მეფე კარლოს პირველათ მიაჩნდა და სურდა კიდეც ეუწყებინა ეს ქვეყნიერებისათვისა. ამ მიზნით ქალალდის დიდ ფრიალას აკეთებდა, ფრიალაზე წვრი-

ლად დაწერილი იყო, მეფე კარლოს პირველის ამბავი და ამ ფრიალას ქარში უშვებდა.

ძალიან მოუსვენრათ ვიყავი, მანამ დიდედას წერილზე პასუხი მოუვიდოდა. როგორც იყო ბ-ნ მორდსტონის წერილიც მივიღეთ და დიდედამ გამომიცხადა, რომ ბ-ნი მორდსტონი თითონ მოვა ხვალ მოსალაპარაკებლათო. ამ ამბავმა თავზარი დამცა. მეორე დღეს ისევ წინანდელი უცნაური ტანსაცმელით ოთახში ვიჯექი და კანკალით ველოდი ბ-ნი მორდსტონის მოსვლას. დიდედა ამ დღეს ჩვეულებრივზე უფრო მკაცრათ გამოიყურებოდა; ის ხელსაქმით ხელში დილიდანვე ფანჯარას მიუჯდა. ბევრი მოლოდინის შემდეგ, როდესაც შებინდდა კიდეც და დიდედამ სადილის მოტანა უბრძანა, მე მინდორზე ვირით მომავალი ქ-ნი მორდსტონი დავინახე. ვერც-კი მოვასწარ პირის გაღება, რომ დიდედამ მოჰკრა თვალი და დიდრიალა:

— ჟანეტა, ვირები!

— გასწი დაიკარგე, უყვიროდა დიდედა ფანჯრიდან და თან მუშტს უღერებდა,—თქვენ რა ნება გაქვთ აქ სიარულისა! აქ გავლა აკრძალულია! დაიკარგეთ აქედან, არ გესმით, თქვე თავხედებო!

მე ავუხსენი დიდედას, ვინც იყო მოსული ქალი და მის უკან მომავალი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაში მეკითხება ვინ არიან, ყვიროდა დიდედა,—არავის მივსცემ ნებას შეურაცხყოფა მომაყენონ! ჟანეტა, გარეკე, გააბრუნე ვირები.

ოთახიდან უყურებდი ვირებთან ჟანეტას შეტაკებას, ქ-ნი და ბ-ნი მორდსტონები უძალიანდებოდენ ჟანეტას. გარშემო შემოხვეოდენ ქუჩის ბიჭები და საშინელი ღრიანცელი გაჰქონდათ. დიდედამ მათ შორის შეამჩნია ვირების პატრონი, მივარდა მას, საყელოში სწვდა და წამოათრია.

ვირების პატრონი გამოუსხლტა დიდედას ხელიდან, მივარდა თავის ვირს, რომლიდანაც ქ-ნი მორდსტონი ჩამოსულიყო კიდეც, და საჩქაროთ წაიყვანა მინდვრიდან. აღელვებულმა დიდედამ წინ გაუარა კარებთან მდგომ და-ძმას, შემოვიდა ოთახში და ელოდა ჟანეტა როდის მოახსენებდა სტუმრების მოსვლას.

ჟანეტა შემოვიდა ოთასში და მოახსენა სტუმრების მოსვლა.

— ხომ არ მიბრძანებ, რომ გავიდე ოთახიდან? დავეკითხე მე შიშისაგან აცახცახებული.

— არა, აქ უნდა დარჩე. დამიყვირა დიდედამ, მიმაგდო კუთხეში. წინ სკამი დამიდგა, რომ არსად წავსულიყავი.

მეც ამ მდგომარეობაში ვიჯექი აუდენციის დროს.

ქ-ნი და ბ-ნი მორდსტონები სასტუმრო ოთახში შემოვიდენ.

— ახ, უთხრა დიდედამ,—წელან არ ვიცოდი ვინა ბრძანდებოდით. მაგრამ მე ყველას გაურჩევლათ უკრძალავ მინდორზე, ჩემ სახლის წინ, გავლას. ეს ყველასთვის სავალდებულოა.

— ეგ ვალდებულობა ძნელი ასასრულებელია, მეტადრე უცხო პირებისათვის—უპასუხა ბ-ნ მორდსტონმა.

— იქნება.

დიდედას და ჩემ მტრებს შორის დიდი ლაპარაკი ატყდა, ერთმანეთს მკვახე საწყენ სიტყვებს ეუბნებოდენ. ბოლოს დიდედამ ჟანეტას დაუძახა და უბრძანა ბ-ნი დიკი დაეძახნა. ბ-ნი დიკი როცა გამოცხადდა, დიდედამ თავის მოვალეობათ ჩასთვალა გაეცნო იგი სტუმრებისათვის.

— ბ-ნი დიკი, თქვა მან—ჩემი შვილი და გულითადი მეგობარი, რომლის აზრს სრულიად ვენდობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქ-ნო ტროტვუდ, დაიწყო ბ-ნ მორდსტონმა, — მივიღე თუ არა თქვენი წერილი, თქვენდამი პატივის ცემამ მოვალეთ ჩამთვალა, ცუდ გზების მიუხედავათ, გხლეგოდით თქვენთან პირადად. ამ უბედურმა ბავშვმა თავი დაანება სამუშაოს...

— უნდა იცოდეთ ამასთანავე, ჩაერია ლაპარაკში ქ ნი მორდსტონი,—რომ ძალიან ცუდი და ავზნე ყმაწვილია.

— ეგ კი მეტის მეტია! სწრაფად მიუგო დიდედამ, —მერე, ბატონო?

ბ-ნ მორდსტონმა დაინახა რო დიდედა შეაშტერდა, შეიჭმუხნა და განაგრძო:

— რაც შეეხება მაგის აღზრდას, უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვხელმძღვანელობდი მაგის ხასიათით ლ ჩემი ქონების ლ შემოსავლის შესაფერათ. ცოტა მზრუნველობა კი არ მიმიძღვის მაგ ბავშვის წინ! ეგ მივაბარე ჩემთვის კარგათ ცნობილ კანტორაში, მაგრამ იქ მუშაობას მაგან მაწანწალობა არჩია, გაიქცა იქიდან, დაწანწალობდა ღმერთმა ღწყის სად და ბოლოს დაფლეთილ-დაგლეჯილი თქვენთან მოვიდა და თქვენ მფარველობას თხოულობს.

— ჯერ ჩვენ იმ კეთილშობილ მუშაობაზე მოვილაპარაკოთ, რომელზედაც თქვენ დავითი მიაყენეთ, —უთხრა დიდედამ —მგონია თქვენი ღვიძლი შვილი რომ ყოფილიყო, იქ არ მიაბარებდით.

— მგონია მივაბარებდი, უპასუხა ბ-ნ მორდსტონმა.

— ის მამულის შემოსავალი, რომელსაც ამისი საწყალი დედა იღებდა, განა მოისპო მისი სიკვდილის შემდეგ? ჰკითხა დიდედამ.

— დიახ—მოისპო.

— დავიჯერო, სიკვდილის წინ არავინ ჰყავდა გვერდით, რომ მოეგონებინა—თავისი ვაჟის შესახებ, რაიმე განკარგულება მოეხდინა?

— ჩემს განსვენებულს ცოლს, უთხრა ბ-ნ მორსტონმა,— ძლიერ უყვარდა თავის მეორე ქმარი და სრულად ენდობოდა მას.

— თქვენი განსვენებული ცოლი უუბედურესი არსება იყო მთელ ქვეყნიერებაზე, სიტყვა შეუბრუნა დიდედამ—კიდევ რასა ბრძანებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მხოლოდ ერთს მოგახსენებთ—უპასუხა ბ-ნ მორდსტონმა,—მე დავით კოპერფილდის წასაყვანათ მოვედი და ისე მოვექცევი მას, როგორც საჭიროდ ვსცნობ. ხომ შემიძლიან ეხლავე წავიყვანო? წინადვე გეუბნებით, რომ თუ თქვენ კიდევ ერთხელ მიიღებთ ბავშვს, მე სამუდამოთ ხელს ავიღებ მასზე.

— რას იტყვი, ბიჭიკო? მკითხა დიდედამ,—გინდა წაჰყვე მაგას?

„არა“ ვუპასუხე და ვეველრებოდი არ გავეგდე; ვუთხარი, რომ არც ბ-ნ და არც ქ-ნ მორდსტონს არ ვუყვარვარ, რომ მათ გამიუბედურეს დედა. ძალიან ვეხვეწებოდი დიდედას არ დავენებებინე მათთვის.

— ბ-ნო დიკ, უთხრა დიდედამ,—გადასწყვიტეთ რა ვუყო ყმაწვილს?

ბ-ნი დიკი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე, თითქო რაღაცა მოაგონდაო, უცბათ წამოიძახა:

— ახლავე უბრძანეთ, ზომა აართვან ტანისამოსის შესაკერათ!

—ბ-ნო დიკ! აღტაცებით წამოიძახა დიდედამ—თქვენ დაუფასებელი პატივი დამდეთ.

მან გრძნობით ხელი ჩამოართვა, მერე მიმიხმო და უთხრა მორდსტონს.

— შეგიძლიანთ მიბრძანდეთ, როდესაც ინებებთ.

— და ყურადღება აღარ მიაქცია იმათ პასუხებს ბევრი მწარე სიტყვებით სიმართლე გადმოულაგა, ბოლოს თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— მშვიდობით, ბატონო. მშვიდობით თქვენც, ქალბატონო, გთხოვთ სამუდამოთ დაიხსომოთ, რომ თუ კიდევ გაბეზდავთ და ვირით ჩემს მინდორზე გამოისეირნებთ, შლიაპას ჩამოგიგდებთ თავიდან და ფეხებით გავქელავ.

დიდედას უკანასკნელმა სიტყვებმა ისე იმოქმედეს ქ-ნ მორდსტონზე, რომ მაშინვე ძმას ხელი-ხელს გაუყარა და გავიდა სახლიდან.

დიდედა ფანჯარიდან უყურებდა მორდსტონებს, რომ სისრულეში მოეყვანა თავისი მუქარა, თუ ვინიცობაა საიდან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მინდორზე მორდსტონების წასაყვანი ვირები გამოჩნდებოდენ.

— იცით, ბ-ნო დიკ, მგონია შეიძლება ამ ბავშვს ტროტვუდი დავარქვა? ტროტვუდ კოპერფილდი.

— დიახ, რასაკვირველია, ტროტვუდ-კოპერფილდი, — უპასუხა დაფიქრებით ბ-ნ დიკმა.

ეს აზრი დიდედას ისე მოეწონა, რომ იმ საღამოსვე ჩემთვის ნაყიდ საცვალზე, თავისი ხელითვე, დააწერა მელნით ჩემი ახალი გვარი: „ტროტვუდ კოპერფილდი“.

ასე დავიწყე ახალი სახელით, ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

(დასასრული)

ელის. კარბელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკვარი, ჭოროხი და რიონი.

ამათ სათავეთა ბუნება და ხალხი.

(მგზავრის დღიურიდან.)

ეფე გიორგი III-ს, თამარის მამას, 1177 წ. ბრძოლა აუტეხა მისმა ძმისწულმა, ტახტის მეძიებელმა, დიმიტრიმ (დემნა). „გიორგიმ დაამარცხა დიმიტრი, შეიხვეწა ციხესა ლორეს. ხოლო მეფე გიორგი დადგა აგარათა. აქა მოერთვნენ სარგის მხარ-გრძელი ძმის წულის თვისითა.

ვინ იყო ეს სარგის მხარ-გრძელი ახლავე მოგახსენებთ:

იყო ვინმე ქურთთა დიდებული და სახელი მისი ხოსროვი. ამას ჰყავდა შვილი ავაგ-სარგისი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა სომეხ-გრიგორიანთა კონდაკზე. ამისთვის სომხის თავადად ასახელებდენ. ავაგ-სარგისს ჰყავდა შვილი ზაქარია, ხოლო ზაქარიას შვილს პირველად ვხედავთ საქართველოს ტახტის სამსახურში. ამას ეწოდა სარგის მხარ-გრძელი, რომელიც მეფე გიორგიმ ანისის მოურავად დააყენა.

აი ეს ქურთნი არიან წინაპარნი იმ მხარგრძელთა, რომელთაც თამარის დროს და შემდეგაც გამოჩენილი ადგილი ეჭირათ ჩვენს ისტორიაში.

—

„ხოლო მოკვდა ყუმბასარ სპასალარი და თამარ მეფემ მისცა სპასალარობა სარგისს მხარ-გრძელსა“. თამარის დროს ერთი კი არა ოთხი მხარ-გრძელი ირიცხებოდა ქართველთა უძლეველ მხედრობაში:

.... „მერმე აწვია ასათ გრიგორის ძემან და ჰყვეს ლაშქრობა დიდი განძას (განჯა), ქვემორე ბალღუნდს რასხის (არაქსის) პირზედ, ზემორე მასისამდე (არარატამდე) ვარდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიანმან*), ოთხთავე მხარგრძელთა და დიდებულ აზნაურთა და ძრიელად გამარჯვებულნი და ალაფითა დიდითა შემოიქცნენ წინაშე თამარისა მხიარულნი". (ვახუშტი).

.... „ვარდან დიდის თქმით, ამ დროს სცხოვრობდენ განთქმულნი მთავარნი: ზაქარია და ივანე სარგისის შვილნი, ქურთის შთამომავალნი, რომელთაც განსაკუთრებით ისახელეს და თამარ დედოფალმა დაუსაკუთრა მათ ლორი. მცირე ჟამს ამათ მოჰგლიჯეს თურქებს მრავალი ციხე-სიმაგრე და თემები, სახელდობრ 1196 ანბერდი, 1199 წ. ანი, 1201 წ. ბეჭნი, 1203 წ. დევინი, 1206 წ. ყარსი და შემდეგ გეთაბაქსი და ჩარექი". (დ. ბაქრაძე).

ამ გვარად თამარმა შემუსრნა და მოხარკე გახადა გარემონი მეფენი. დავით აღმაშენებელის ღძლეველი დროშა ღირსეულად ფრიალებდა ქურთთა მხარგრძელთა ხელში და ვიდრე რუსუდანის მეფობამდე, ქართველთა ლაშქარს მტრისთვის ზურგი არ უჩვენებიათ.

ამ სახელ განთქმულ მოღვაწეთა, ორთა ძმათა შორის, ჯერ ზაქარია იყო ამირ-სპასალარი და მანდატურთ უხუცესი.

... „ხოლო მოკვდა გამრეკელი ამირ-სპასლარი და უბოძეს ამირ-სპასალარობა ზაქარია მხარგრძელსა" ეს მოხდა რუსის მეორედ გაძევების შემდეგ. ამ ბრძოლაში დაიჭრა, თმოგვის და ვარძიის ახლო, ძმა ზაქარია მხარგრძელისა, იოანე (ივანე).

ზაქარიას სიკვდილის († 1212 წ.) შემდეგ, ამირ-სპასალარობა მეფე თამარმა უბოძა იოანეს, ზაქარიას ძმას, მაგრამ „მან არ ინება ამირ-სპასლარობით წოდება, არამეთ ათაბაგობით". ამ გვარათ საქართველოს პირველ ათაბაგად ქურთის შთამომავალი იოანე მხარგრძელი გახდა და ყველა მხარ-გრძელებშიაც პირველმა ამან წაგო ომი რუსუდანის მეფობის დროს.

—

ქურთებს თავისებური ნაპოლეონიც ჰყავდათ.

მე XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, დიდად გაითქვა თავი ქურთმა სალახ-ად-დინმა (1174—93), ანუ სალაიდინმა, როგორც ევროპიელი ისტორიკოსნი უძახიან. სალაიდინი იყო შვილი ეიუბისა და ძმის წული შირქუხისა, ეს ორნი ძმანი

*) ეს გვარი პირველად იხსენიება მატიანეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურთნი იყვენ მხედართ-მთავარნი, ანუ სპასალარნი, სულთანის ნურ-ედ-დინის კარზე...

ხოლო ნურედდინი (1146—74) იყო შვილი მოსულლის ათაბაგის იმადედინ-ზენგისა. მამის დაწყებული საქმე ნურედ-დინმა სისრულეში მოიყვანა: სირიაში, სელჯუკთა ნაქონი, ემირების აუარებელი პატარ-პატარა სამფლობელონი ყველა შემოუერთა თავის სახელმწიფოს ესევე ნურედდინი დიდი მტერი იყო ქრისტიანებისა. ჯვაროსანთა სამეფო ხმელეთი-დან ყველა მხრიდან შეზღუდა და ამათვე წაართვა ედესსა.

ახლად შემოერთებულის დამასკის გამგებლათ სულთანმა ნურედდინმა დაადგინა სალაიდინის მამა ეიიუბი (1154 წ.), ხოლო შირქუხი და სალაიდინი 1164 წ. გაგზავნა მისირის (ეგვიპტეს) ასაღებათ, დასაპყრობათ. 1169 წ. ეგვიპტეს ხალიფი ტახტიდან რო ჩამოაგდეს, რამდენიმე კვირის შემდეგ შირქუხი მოკვდა, ხოლო სალაიდინმა მიიღო მთავარ-სარდლობა მთელი ჯარისა და გახდა სრული ბრძანებელი მთლად ეგვიპტისა. ამავე წელს სალაიდინმა მამაც გამოიტყუა სირიიდან (დამასკიდან) და იქამდე გათამამდა, რომ თვით სულთან ნურრედინსაც აღარაფრად აგდებდა.

განრისხებული ნურედდინი ამხედრდა თავგასულის მთავრის სალადინის დასასჯელად, მაგრამ სიკვდილმა უსწრო (1174 წ.).

სალაიდინსაც ეს უნდოდა. დაიძრა მთელის თავის ძრიელის ჯარით და სირიაში შევიდა თუ არა, სულთანის ხარისხი მიიღო. ნურედდინის მემკვიდრეთ ვერაფერი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ამიტომაც ახალმა სულთანმა ესენი თავიდან ადვილად მოიშორა.

იმავე წელს სულთანმა სალაიდინმა აიღო დამასკი და ქამა (ხამა). შემდეგ წელს ჯარი შემოარტყა და შეზღუდა ხალები. ხოლო 1176 წ. ძალზე დაამარცხა სეიფედინი მოსულისა და იმავე წელს ზავი დასდო სირიელ ასისინებთან. 1182 და 1185 წლებში სულთანმა სალაიდინმა შემოარტყა ალეპა თვით ქალაქ მოსულს. ზენგიდ-იზედინი, მოსულის ათაბაგი (1180—93) დაემორჩილა და აღიარა სალაიდინის უზენაესი უფლებანი. ამ დღიდან სულთან სალაიდინის სახელმწიფო დიდად გაიზარდა. იგი შეიცავდა ეგვიპტის ქვეყანას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად სირიას და მის ახლო მდებარე მესოპატომიის პატარა-პატარა სამთავროებს.

სალაიდინი დაუძინებელი მტერი იყო ჯვაროსნებისა, რომელთაც ჯერ კიდევ 1177—79 წლებში სასტიკად ებრძოდა. ახლაც მოიკალა და შეუდგა ჯვაროსანთა ‘აზიიდან გარეკას.

1187 წ. ივლისის 4—5, ხითინთან, ტივერიადის ახლოს, სულთანმა სალაიდინმა თავზარი დასცა იერუსალიმელთა და ტრიპოლიელთა შეერთებულ ძალებს. პალესტინის მეტი ნაწილი მუსულმანთ ჩაიგდეს ხელში; დასცეს სიმდიდრით დიდათ განთქმული აკკა, ძრიელი ‘ასკალონი და ბოლოს აიღეს იერუსალიმიც (2 ოქტომბერს 1187 წ.).—

სალაიდინს გაუმაგრდა მხოლოდ ტირი, რომელსაც მედგრად იცავდა კონრადი, მონფერატელი. ვერა გააწყო-რა სალაიდინმა აგრეთვე ანტიოქიაში და ტრიპოლში, ამ დროს დაიძრა ევროპიიდან მაშველი ჯარიც—ქრისტიანების და ქრისტეს საფლავის გამოსახსნელათ (ეს იყო ჯვაროსანთა მესამე ომი 1187—92 წ.) ჯვაროსანთ ალყა შემოავლეს აკკას (1189 წ.) შემდეგში ფილიპე ფრანგმა და რიჩარდმა ლომისგულამ კიდევ ახალის ჯარით ძრიელი იერიში მიიტანეს და აიღეს კიდეც აკკას ციხე 1191 წ..

სულთან სალაიდინის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა, შემდეგი 1192 წლიდან დაწყებული მარცხი მარცხს მოსდევდა, ბედმა ზედი-ზედ უმუხთლა.

ბ-ნი კრიმსკი მოგვითხრობს, რომ თვით სულთან სალაიდინს შესანიშნავი პოლიტიკური შორს-მხედველობა ჰქონდა. თანაც იმისთანა კეთილ-შობილურ და ჭირში გულ-გაუტეხელობას იჩენდა ხოლმე, რომ მტერნიც კი (ჯვაროსანნი) განცვიფრებას მოჰყავდა. უნებლიედ მტერნიც პატივით იმსჭვალებოდენ ამ კეთილ-შობილებით აღსავსე ვაჟ-კაცისადმე. რამდენათაც თვით სალაიდინი ღირსი იყო პატივცემისა, იმდენად საზიზღარნი იყვენ მისი მხედართ-მთავარნი და ემირნი. ამათ თავი გაითქვეს პირადი გმირობით და არა რელიგიურ და სამშობლოს სიყვარულის აღფრთოვნებით...

ბოლოს მაინც სულთანმა სალაიდინმა დიპლომატიურად გაიმარჯვა. ზავის პირობის ძალით 1192 წ. რიჩარდმა უარი განაცხადა იერუსალიმის აღებაზე და ისევ ევროპში დაბრუნდა.

ხოლო მუსულმანთ მეორე საშინელი მტერი, კონრადი მონ-ფერატელი, ასისინებმა დანით მოჰკლეს.—

მაგრამ დიდი ხანი არც თუ დიდებულ სულთანს სალა-იდინს დასცალდა, გამოჩენილ ეუიბიდის დინასტიის დამაა-რსებელი, რამდენიმე თვის შემდეგ ციებ-ცხელებამ ხელი და-რია და ბოლოც მოუღო. გარდაიცვალა 1193 წ. დამარხულია დამასკში.

გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II, წმიდა ადგილებში, პალესტინაში, რო მოგზაურობდა, იერუსალიმის შემდეგ ქალ. დამასკიც დაათვალიერა. აი ამ დროს იხილა საფლავი სულაქი თანის სალაიდინისა და მის მატურის წინ მუხლი მოიდრიკა, დაიჩოქა ამაყმა ვილჰელმა და ამით პატივი სცა სალაიდინს ვით გამოჩენილ მეომარს, გმირ მეფეს და პატიოსნებით აღსა-ვსე ვაჟ-კაცს.

—

სულთან სალაიდინის სიკვდილის დღეს, მისი ხლმით და ძრიელის მკლავით დაარსებული უზარ-მაზარი სახელმწიფო იპყრობდა მესაპატომიას, სირიას და მთელს ეგვიპტეს. ესე იგი მდ. ეფრატიდან მდ. ნილოსის გაღმა ქვეყნებამდე. ამ ეიუ-ბიდების სამფლობელოს მემკვიდრეთ გახდა სალაიდინის ძმა მე-ლიქ-ადილი. ეს სულთანი მეტად უჭკუოდ მოიქცა: მიუხედავად იმისა, რომ უიმისოთაც სალაიდინის შემდეგ ერისთავები ერ-თმანეთს დაერივ-ენ, თვითონაც აიღო და მთელი სამეფო შვილებს დაუნაწილა. მოხდა ისე, რომ ეგვიპტე, დამასკი და მესაპატომია მთელი 25 წელიწადი შინ ერთმანეთს ებრძოდენ და გარეშე მტერსაც იგერებდენ...

სწორედ ამ დროს მოადგა მათ ევროპიელთა ჯარი. და-იწყო ჯვაროსანთა მეექვსე ომი, რომელიც ხან გამოშვებით წარმოობდა 1239—1270 წლებში.

გათავდა იმით, რომ სალაიდინის მიერ შექმნილი ეიუბა-დთა დინასტია მოისპო. ეგვიპტეში გამეფდენ მამელიუკები, (1250 წ.) ხოლო სირია (1260 წ.) მონგოლთ დაიპყრეს,— ჯერ ხულაგუ-ხანმა დაიმორჩილა და მერე საბოლოოდ დაიპყრო 1388 წ. თემურ—ლენგმა.

—

ისტორია გვავალებს აქ მოვიხსენიოდ ერთი დიდად ნი-ჯიერი ქურთიც, სახელდობრ აბულფედა, რომელიც ითვლება არაბთა განთქმულ ისტორიკოსათ და გეოგრაფათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბულფედი იყო ხამათელი მთავარია, უკანასკნელი წარმომადგენელი ეიუბიდის დინასტიისა. როდესაც მამელიუკებმა 1341 წელს, სირიის ჩრდილოეთით მდებარე, უკანასკნელი სამფლობელო სალაიდინის ჩამომავალ შტოსი, ქალაქი ხამაც დაიპყრეს, მაშინ აბუფელდი მეფის მოადგილეთ დააყენეს. (1331 წელს) და მისიდ მოელო ბოლო სალაიდინის სამეფოს უკანასკნელ წარმომადგენელსაც.

მონგოლთა დაქსაქვის შემდეგ, გაძრიელდა სპარსეთი. ირანის ბრძანებელმა, ქვეყნებთა დაპყრობით განთქმულმა, სახელოვანმა შახმა ისმაილ—სეფიმ (1499—1523), ქურთი სტანიც შეუერთა თავის ვრცელ სამეფოს, მაგრამ XVII საუკუნეში ქურთები აჯანყდენ და მეტი ნაწილი ოსმალეთის ქვეშევრდომი გახდა.

ჩვენ დროსაც, განვლილ საუკუნეში, სახელდობრ 1880 წელს, ქურთებმა სცადეს თავიანთ საკუთარი სახელმწიფო დაეარსებინათ, მოთავეთ იყვენ სპარსელი ქურთები ადზერბეიჯანისა. ამათ მოიმხრეს თავის მეზობლები, მოძმე-მონათესავე ოსმალეთის ქურთებიც. მეთაურად და ხელმძღვანელა ჰყავდათ ობეიდულახ-ხანი ადერბეიჯანელი. გამოაცხადეს ომი და პირველ ხანში საქმე კარგად წავიდა, ძრიელ თავგანწირულადაც ეკვეთენ მტერს, მაგრამ ბოლომდე თავი ვერ ვაიტანეს. მიზეზი ის იყო, რაც აზიელ ყველა ხალხს საზოგადოთ სჭირთ, ე. ი. არ ჰქონდათ მკვიდრი ორგანიზაცია; ამისთანა საქმეში საჭიროა ერთობა, მეთაურების ერთსულობა-თანახმობა. ჯერ იფეთქეს, ბურბუშელას ცეცხლი აპრიალდა და მერე კი ციხე შიგნიდანვე გატყდა, სამშობლოს განთავისუფლების საქმე სამარცხვინოთ ჩაეფუშათ სამ მილიონ, მამაც ხალხს. სპარსეთმა და ოსმალეთმა ადვილათ ჩააქრეს აპრიალებული ცეცხლი-წიაკოკოლა. მეთაურები ააკვლეს ოქროთი, მისცეს ფაშობა, მიიწვიეს სტამბოლში, დაუნიშნეს ულუფა და დიდი ადგილი სრა სასახლეში და... მშვიდობით სამშობლოვ!!... ხალხი-კი საშინლათ დაიჩაგრა. — ის ოქრო—რაც რო სახელმწიფოებმა მეთაურებს ჩააყარეს, იგი ოქრო ქურთისტანის შრომის შვილთ ერთი ორად გადაახდევინეს კონტრიბუციით.

მიუხედავათ ამ სამარცხვინოთ დამარცხებისა ქურთები ამინც გულში ატარებენ თვით არსებობის იდეას, პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობას; ელიან მხოლოდ სახერხო დროსა და ამ-
მს, თუ ოსმალეთის სხვა პატარა ეროვნებმაც არაბთა
აჯანყებას მიჰბაძეს და თავი გაიტანეს, ქურთებიც, როგორც
ერთი კაცი, ხმალს და ფარს აისხავენ, მით უფრო რო სპარ-
სეთი ეხლა დასუსტებულია და ანგარიშში მისაღები აღარც კი
არის. მართლაც და ამ სამ მილიონ გულად ხალხს, მთის
შვილებს, რა დააჩუმებდა, თუ რომ ევროპიული განათლება
და ჯარის ორგანიზაცია ჰქონოდათ. მაშინ ბოლგარეთის ოდენა
უნარს ნუ თუ ვერ გამოიჩენდენ.

ახლა კი რის მაქნისია! ვსთქვათ კიდეც მიაღწიეს ქურთე-
ბმა თავის მიზანს, გულის წადილს და ქურთისტანი დამოუ-
კიდებელ სამეფოდ გამოაცხადეს.. მერე რაო? რას ეგვანება
ამათი სამეფო?.. ეხლანდელ დროში უკულტურო სახელმწიფო,
სადაც არაა არც განათლება, არც ინდუსტრია, არც სამხედრო
ორგანიზაცია, რა სასიცოცხლოა. ნუ თუ კიდევ სჭირია კა-
ცობრიობას ნახევრად ველური ხალხის ბატონობა!? ხოლო რაც
შეეხება დიდ სახელმწიფოთა მფარველობას, პროტექტორატს,
ამას ისეთივე კულტურული დამსახურება სჭირია, როგორც
შვეიცარიას აქვს, ანუ იმ გვარმა პოლიტიკურმა კომბინაციამ
უნდა გამოიწვიოს, როგორც, მაგალითად, გერმანიამ (ბისმა-
რკმა) ბოლგარია შექმნა ბუფერად და ინგლისმა (ბინკონსფი-
ლდმა) ავღანისტანი.

ქურთები განიყოფებიან რამდენიმე ეტნოგრაფიულ ჯგუ-
ფად. ქურთისტანის მთებში ცხოვრობენ ასირეთი და გურანი.
ასირეთნი ბრძანებლობენ, ბატონობენ და გურანები-კი მათ
ემორჩილებიან.

ასირის სახის მეტყველება ტლანქია, ხეპრულია. გამჭრი-
ახე, მახვილი, ცისფერი თვალები ღრმად უსხედან კოპიტ შუ-
ბლის ქვეშ. ტან-კირკიტა ასირი მაგრად და მძიმედ აბიჯებს
ფეხს. გურანებს სახე უფრო ნაზი და სწორე ხაზებიანი აქვთ —
უფრო ქართულ სახეს მოგაგონებსთ.

ეს ორივე ტიპი ჩამომავლობით, გვარტომობით ერთი
და იგივენი არიან, მაგრამ ასეთი ძრიელი განსხვავება იმითი
აიხსნება, რომ ასირნი ელის ხალხნი არიან, მთა-ბარობას ეწ-
ყობიან, მწყემსობას და საქონლის მოშენებას უნდებიან. ხო-
ლო გურანები, მიწაზე დამკვიდრებულნი, დიდი ხანია ხვნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვას, მეურნეობას მისდევენ. განსხვავებულმა ცხოვრებამ, ტიპიც განსხვავებული გამოიწვია—დღეს ხვალეობით მშვიდობიანმა ცხოვრებამ შესცვალა.

მემთა-ბარე ქურთებში ერის უფროსობა, მამასახლისობა, როგორც სამეფო სახლში, ერთსა და იმავე გვარში, მემკვიდრეობითი გადადის.

ქურთები ძრიელ ამაყობენ თავიანთ განთქმულ წინაპარებით, მათი ვაჟკაცობით; ისიც კარგად ახსოვთ ვისი ჩამომავალნიც არიან. ქურთებს ძრიელ უყვართ საომარ საქმეში ვარჯიშობა, მეტად სასახელოდ, რაინდობათ, მიაჩნიათ ავაზაკობა, ყაჩაღობა,—მეზობელ ხალხის დარბევა, აწიოკება. ამათაგან მოსვენება არა აქვსთ ოსმალებს, რადგან ჭირივით ეჯავრებათ ესენი ქურთებს, თავიანთ სამშობლოს მჩაგვრელად სთვლიან; სპარსელებს იმიტო იკლებენ, რომ ამათთან მტრობა რჯულის საქმეთ მიაჩნიათ, ვინაიდან სპარსელნი შიიტის სწავლისანი არიან. ხოლო დანარჩენ ხალხს ქრისტიანებს, ხო რაღასათვის დაინდობენ!!. ქურთთა მეზობლათ სცხოვრობენ: სომეხნი—ერზერუმს და ვანში, აგრეთვე იაღუბიტნი, სირიელნი, ნესტორიანნი და ქალდაველნი.—ამათ ყველას ვით „გიაურებს“ მარადჟამს იკლებენ, ცარცვამენ, სასიკვდილოთ არ ინდობენ. საკვირველია რო ნესტორიანებს როგორღაც კაი თვალით უცქერიან ქურთები—იგუებენ, მეგობრობენ კიდეც.

ქურთებს ერთმანეთშიაც დაუბოლოვებელი მტრობა და შური სჭირთ. მეტადრე ღუპავთ მათ ტრადიციული ჩვეულება ადათი მოსისხლეობისა. ვსთქვათ ალიას შემოაკვდა როგორმე მუსია—მორჩა და გათავდა!... სისხლის აღება წმიდა მოვალეობათ გადაექცა მთელს გვარეულობას. ამიერიდან მუსიას ნათესაობა მოსისხლე მტერია ალიას ნათესაობისა და ვიდრე სამაგიეროს არ გადაუხდიან მუსია საფლავში ვერ მოისვენებსო.

ამავე დროს ქურთებს ბევრი კარგიცა სჭირთ. უყვართ თავისუფლება, არიან გულადნი, მამაცნი, სტუმართ-მოყვარენი, თავდაჭერილნი, და მეტად მტკიცენი მოცემულ სიტყვაზე. ქურთმა თუ სიტყვა მოგცა, ეს მისი წმიდათა-წმიდაა—არას გულისთვის აღარ გასტეხავს, არ იკადრებს ორპირობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალატს, ამით ძრიელ მაღლა სდგანან თავიანთ მეზობლებზე, მაგალითად თუ გინდ ცრუ-პენტელა სპარსელებზე, რომელთაც სიტყვაში ღალატი სათაკილოდ სულაც არ მიაჩნიათ.

რჯულით ქურთნი ეკუთვნიან მაჰმადიან სუნიტებს. რელიგიური ფანატიზმი ამათში უფრო ნაკლებ არის ვიდრე ოსმალებში და არც იმდენად ჩახედულ არიან ყურანში. ლოცულობენ ღვთაებას, ერთ არსებას, მეტანიის მოყრით. არიან ქურთნი შიას წესისა ე. ი. სპარსეთის წმინდანებს აღიარებენ. ესენი მეტად ველურნი არიან და მათი რჯულიც რაღაც მისტერიით, სიბნელით არის მოცული. მაგალითად ამათ სწამთ რო ღვთაება ქვეყნადაც არის განხორციელებული. ამ გვარად ღმერთებად ითვლებიან: მოსე, დავით, იესო, ალია და სხვ... აგრეთვე იმამნი შიიტნი და სხვ. წმინდანნი. ამათის აზრით, ახლაც სცხოვრობს ღმერთი ქვეყნათ, ამიტომაც ზოგიერთს ცნობილ პირს სიცოცხლეშივე სცემენ თაყვანს და ისევე, როგორც ოსმალიტები სწირავენ, უკლავენ საღმთოს და სხვ..

ქურთნი ლაპარაკობენ ზაზა-ს და ქერმანჯი-ს ენაზე, ამათში განსხვავება იმდენად დიდია, რომ ერთმანეთისა არა ესმისთრა. მსგავსება აქვს სპარსულ ენასთან, ამიტომაც მეცნიერნი ქურთულ ენას ირანის შტოს აკუთვნებენ. ამათი ლექსიკონი თითქმის მესამედი შესდგება ახალ-სპარსულ, არაბულ და თურქულ სიტყვებისაგან, თანაც ბევრი სიტყვები ურევია არამიული, ბერძნული, სომხური და თითქმის რუსულიც (რუსეთის მოსაზღვრენი ურევენ).

ქურთულ ენაში საყრანტალე სიტყვები ნაკლებ ურევია, ვიდრე ქართულში, მაგრამ მაინც არაა კეთილ ხმოვანი — ლაპარაკში ტლანქი გამოდის.—

ამათი არც ლიტერატურაა მდიდარი. უფრო განათლებული ქურთები კმაყოფილდებიან ოსმალურ და სპარსულ ლიტერატურით. აქვთ ნათარგმნი ქურთულ ენაზე სპარსთა ყველა მთავარ მგოსანთა ქნარი, ხოლო მოლები უფრო კოლლექტიურ ლიტერატურას, ხალხისაგან შექმნილ ლექსებს, ანდაზა-არაკებს სწერენ. 1857 წელს სტამბოლში გამოსცეს პირველად ახალი აღთქმა (სახარება) ქურთთა ენაზე.

ილ. ალხაზიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლე ცნობები

თვალთ უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან.

ინა წერილში, ჩემო პატარა მკითხველო, ბაკტერიების ვინაობას რამდენადმე გავეცანით და ცოტად თუ ბევრად მათი ყოფა-ცხოვრებაც შევიტყეთ. ეხლა თქვენ ყურადღებას მივაქცევ განსაკუთრებით სენის გამჩენ ბაკტერიებს. როგორც წინეთ გაკვრით მოვიხსენიეთ, პასტერმა მტკიცედ და შეუცვლელად დაგვისურათა მოარულ სენთა და მიკროორგანიზმთა ურთიერთობრივი დამოკიდებულება. პასტერის თანამედროვე და თანამემამულე სწავლულმა დავენმა წარსულ საუკუნის ნახევარში, პირველმა შეამჩნია ჯილეხით ავადმყოფ შინაურ პირუტყვთა სისხლში ერთნაირი ბაცილა, რომელიც, როგორც შემდგომ მოხდენილმა გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, ამ სენის გამომწვევი აღმოჩნდა. დავენმა აიღო ჯილეხის მიკრობიანი სისხლი და ჯანსაღ პირუტყვს კანქვეშ შეუშხაპუნა, პირუტყვი რამდენიმე დღის შემდეგ ჯილეხით ავად გახდა და ფეხები გაჭიმა, სისხლში ჯილეხის ბაცილა აღმოჩდა. დიდებულმა გერმანელთ მეცნიერმა კოხმა, რომელმაც ბაკტერიების, აღსაზრდელ- მოსაშენებლად ხელოვნური საკვები შემოიღო, უფრო მკვიდრ ნიადაგზედ დააყენა გადამდებ სენია და მათ გამომწვევ მიკრობებთა შესწავლის საქმე. კოხმა აიღო ჯილეხიანი ცხოველის სისხლი და ხელოვნურად მომზადებულ საკვებზედ დათესა. ამ ნათესიდან ამოიღო ცოტაოდენი, ნემსის ყურწის ოდენა, და საღ ცხოველს აუცრა, ეს უკანასკნელიც ჯილეხით დასნეულდა და მოკვდა, სისხლში აქაც მიკროსკოპმა ჯილეხის ბაცილები აღმოაჩინა. ამგვარი ცდის და გამოკვლევის შემდეგ მთელი რიგი მეცნიერთა იკვლევენ და იძიებენ სხვა და სხვა მოარულ სენებს ბაკტერიოლოგიურის მხრივ. დიდი ხანი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულა დავენის გამოკვლევის შემდეგ, როცა გერმანელმა სწავლულმა ობერმეირმა შებრუნებულ სახადიან ავადმყოფის სისხლში ნახა ხრახნილისებრივი ბაკტერია ანუ სპირილა; ეს მიკრობი ავადმყოფის სისხლში ადვილი მოსანახია, რადგანაც ის იქ მკვირცხლად მოძრაობს და სისხლის წითელ ბურთულებს ერთი მეორეზედ ახლის. ორგანიზმის გარეშე ე. ი. ხელოვნურ საკვებზედ ეს მიკრობი ჯერ ვერ გაუზდიათ და ვერ მოუშენებიათ, ვიცით მხოლოდ, რომ მისი ცოცხლად შენახვა ცოტა ხნით შეიძლება წურბელისა და ბაღლინჯოს ტანში, როცა ეს ცხოველნი ამ სენით ავადმყოფ ადამიანს სისხლს გამოსწოვენ. ბევრმა მეცნიერმა და მათ შორის სახელგანთქმულმა მეჩნიკოვმაც სცადეს და შებრუნებული სახადის სპირილა აიცრეს, რასაც შედეგად მოჰყვა მათი ამ სენით ავად გახდომა. შემდეგ სხვა და სხვა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბაცილები მუცლის სახადის, კეთროვანების, ქოთაოს, ჭლექის, ხოლერის, ხუნაგის, ფილენჯის, ქარის, ინფლუენციის, შავი ჭირის, მუცელასი და სხვათა. ყველა ეს მიკრობები ეხლა-ხან საკმაოდ გამოკვლეულია და შესწავლილი, თითქმის ყველა კარგათ ხეირობს სხვადა სხვა ხელოვნურ მასაზრდოებელ ნიადაგზედ. მოარული სენი, როგორც ვიცით ბევრნაირია, მაგრამ ჯერ ყველასთვის მიკრობები ვერ აღმოუჩენიათ, მაგალითად: წითელა, ქუნთრუშა და სხვა. ყოველ დღიური ცდა და დაკვირვება, ცხადათ გვიმტკიცებს, რომ თვითეული მათგანის გამომწვევი და აღმძვრელი რომელიმე მიკრობი უნდა იყოს და თუ აქამდინ ეს მიკრობები ვერ აღმოუჩენიათ ეს სწავლულების აზრით მით აიხსნება, რომ ისინი ერთობ ძლიერ პატარა უნდა იყვნენ და მათ დასანახავად უფრო კარგი, უფრო ძლიერი განმადიდებელი მიკროსკოპია საჭირო, ვიდრე ეხლა ხმარებაში შემოღებულია. ჯანსაღი ადამიანის სისხლში და კერძოთ ყველა მის ქსოვილების შიგა და შიგ, როგორც საფუძვლიანად გამოკვლეულია, არც ერთი მიკრობი არ ცხოვრობს, არც სენის გამჩენი და არც უბრალო უვნები. მაგრამ თუ სხეულის რომელიმე ქსოვილს ანუ ორგანოს გარეშე ჰაერთან თანამოზიარობა აქვს და მასთან შეერთებულია, იმ შემთხვევაში ამათში ბევრს ბაკტერიებს ვიპოვნით. მაგალითად მრავალ-ურიცხვ ბაკტერიებს შეხვდებით სასუნთქავ, საჭმლის მოსანელებელ და სასქესო ორგანოებში, რომელნიც შეერთებული არიან გარეშე ჰაერთან განსაკუთრებული მილებით. უმეტესი წილი აქ მობინადრე ბაკტიერებისა ჩვეულებრივი, ფიზიოლოგიურია, არავითარ ზიანს არ გვაყენებენ, მაგრამ მათ შორის ზოგჯერ მავნე, შხამიან ბაკტერიებსაც შეხვდებით. მაგალითად პირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხვირში ყოველთვინ შეხვდებიან ბაყლის (ჩირქის) ბაკტერიებს, აღმოუჩენიათ აგრეთვე ხუნაგის და ფილტვების ანთების გამომწვევი მიკრობები.

ახალ შობილ ყრმათა ნაწლეებში და განავალში, როგორც სწავლულებმა დანამდვილებით შეიტყეს, არავითარი ბაკტერია არ ცხოვრობს, ისინი გამოჩნდებიან ხოლმე, როცა ბავშვი ძუძუს წოვას და ჭამას დაიწყებს. როგორ შეეყრება ადამიანს მოარული სენი ანუ, სხვაფერ რომ ვსთქვათ, რა გზით შედის ეს თუ ის ბაკტერია ადამიანის სხეულში? უნდა გვახსოვდეს რომ ბაკტერიები მხოლოდ მაშინ გამოიჩენენ თავიანთ სენის ძალას და მოქმედებას, როცა რომელიმე გზით ჩვენ სხეულში ბინას მოიპოვებენ და იქ მათის აღორძინებას და გამრავლებისათვის საჭირო ხელის შემწყობ პირობებს ნახავენ. ადამიანისა გარეშე, როგორც წინეთ მოვიხსენეთ მიკრობები ცხოვრობენ და თავის სასიცოცხლო-სასიმთელო ნიადაგს პოულობენ ჰაერში, წყალში, მიწის ნიადაგში, მრავალ ნაირ ოჯახში სახმარ ჭურჭლებზედ, ნივთებზედ და ავეჯებზედ. ცხადია რომ რამდენიც აქ ჩამოთვლილ საგნებს ახლო კავშირი და დამოკიდებულობა აქვს ამა თუ იმ მოარულ სენით ავადმყოფ-ორგანიზმთან, მის ტანთსაცმელ-საწოლთან,—იმდენათ უფრო მეტ მიკრობებს აღმოვაჩენთ. ამის შემდგომ თქმა არ უნდა, რომ საავადმყოფო ოთახების ჰაერში, კედლების და იატაკების მტვერში ბევრი სენის გამჩენი ბაკტერია იქნება. ჰაერში და მტვერში მყოფი მიკრობები უმეტესად ჩვენ სასუნთქავ ორგანოს და კანს უფრო მოედება; ჰაერის მაშვალებით ადამიანს შეხვდება ჭლერქის, ხუნაგის, ინფლუეციის, წითელი ქარის, შავი ჭირის და სხვათა მიკრობები; წყალის საშვალებით ვრცელდება და ადამიანს შეეყრება მუცლის სახადი, ხოლერა, მუცელა და სხვა. ზოგიერთ სენის გამჩენ ბაკტერიებს ბოსტნეულ და მწვანილეულობაზე შეუძლია ცხოვრება და გამრავლება: თუ მწვანილი გასუფთავებული ვერ არის, მაშინ შესაძლებელია ჭამის დროს ამათთან ერთად ადამიანის სტომაქში ბაკტერიაც ჩაჰყვეს და მისი ავად გახდომის მიზეზი შეიქმნას. როგორც გამოცდით გამოკვლეულია და დადასტურებულია, ბაკტერიების გავრცელებას და გადატანას ერთიდან მეორეზედ, ავადმყოფიდან ჯანმრთელ ადამიანზედ, ხელს უწყობენ კიდევ ზოგიერთა მწერები: ბუზები, რწყილები, ბაღლინჯოები და კოღოები; ამათ თავიანთი თათებით, ფრთებით, ხორთუმით და ნაწლევებით ხშირათ გარდააქვთ და ავრცელებენ ბევრნაირ მოარულ სენებს, მაგალითად ჯილეხს, ჭლექს, ხოლერას, შავ ჭირს, შებრუნებულ სახადს და სხვათა. მიწაში, ყარიმში, სენის გამჩენი

ბაკტერიები საზოგადოთ ნაკლებათ ცხოვრობენ აქ შეხვდებიან დამაჩირქებელ ბაკტერიას, შავი ჭირის და ფილენჯის ჭარის ბაცილას, ჯილეხის პარკ-ბაკტერიას და სხვას; ხოლერის და მუცლის სახადის ბაკტერია მიწაში ვერ აღმოაჩინეს, თუმცა ამ სენთა გავრცელებაში ყარიმს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს როგორც ფიქრობენ. ყარიმში სენის გამჩენ ბაკტერიების აღმოჩენას ხელს უშლის აუარებელი რიცხვი სხვა მიკრო-ორგანიზმთა, რომელნიც აქ მუდამ ფუსფუსობენ.

უმთავრეს გამავრცელებელ წყაროდ ყველა სენის გამჩენ ბაკტერიებისა ითვლება მათ მიერვე სენ შეყრილი ცხოველი ორგანიზმი და კერძოთ რასაკვირველია ადამიანი. ისიც უნდა ვსთქვათ რომ ხშირათ ადამიანის ანუ ცხოველის ტანში არა ერთი სენის გამჩენი, ბაკტერია ცხოვრობს, მაგრამ არავითარ ვნება არ მოაქვს, ეს მაშინ მოხდება ხოლმე, როცა მიკრობი აქ შესაფერ მასაზრდოებელ საკვებს და სხვა ხელის შემწყობ პირობებს ვერ იპოვნის.

ჩვენ სხეულში შესვლას ბაკტერიები მრავალის გზით ახერხებენ. სხეულის კანზედ ბევრნაირი მიკრობი ცხოვრობს. განსაკუთრებით ბევრს ბაკტერიებს ნახავენ თითების შუა, ფრჩხილების ქვეშ და ყველგან, სადაც კანი დანაოჭებულია; ჭლერქით და სახადით ავადმყოფთა ოფლშიაც კი ნახულობენ შესაფერ მიკრობებსა. რამდენიც უნდა იყოს ბაკტერიები კანზედ, ისინი აქედან ტანში ვერ შეატანენ, თუ კანის მთლიანობა დაცულია, თუ ის სადმე გაჭრილი და გაკაწრული არ არის, დაშავებულ კანში შეძრომას მიკრობები ადვილად ახერხებენ; ყველაზედ უფრო საშიშია პაწაწა გაკაწრული ანუ ნაჩხვლეტი წყლულები, საიდანაც სისხლი არ გამოსწვეთს, არ გამოდის, პირიქით თუ ჭრილობიდან სისხლი გამოსდის მაშინ შიგ წყლულში მოტანებულ ბაკტერიებსაც თან წამოიღებს, გამორეცხს და ამგვარად ჭრილობას მავნე მტრისაგან ცოტათი მაინც უზრუნველ ჰყოფს.

წყლულიდან მიკრობი ტანში მალე გადადის და თავის მომწამვლელ ძალასაც მალე იჩენს. ერთმა მეცნიერმა ვირთხას კუდის ბოლოზედ კანი ოდნავ გაუჭრა და ჭრილობაში ჯილეხის ბაკტერიის სუფთა „კულტურა“ მოაცხო, ათი წუთის შემდეგ კუდი ძირში მოკვეთა, მაგრამ საწყალი ცხოველი სიკვდილისაგან მაინც ვერ იხსნა: ბაკტერიები უკვე შინაგან ორგანებს მოსდებოდა. ამის შემდგომ თქმა არ უნდა, რომ კანის სისუფთავეზედ ზრუნვას უნდა მივაქციოთ ჩვენი უმთავრესი ყურადღება; თუ კანზედ რაიმე ჭრილობა გვაქვს სუფთად უნდა შევინახოთ და სუფთა სახვევით უნდა შევიხვიოთ, წინაამღდეგ შემთხვევაში იარაში ბაკტერიები ჩაცვივა, წყლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დაჩირქდება, და დასივდება, ადამიანს სიცხეს მისცემს და შეიძლება კიდეც სისხლი მოეწამლოს და მოკვდეს.

პირი და ცხვირი შიგნით დაფარულია თხელი კანით, რომელიც მუდამ სველია, ამ კანს ლორწოიან გარსს ეძახიან, თვით ამ გარსის ზევითა პირზე სიფრიფანა კანი აკრავს, ამას სახელად ეპიტელიუმი ჰქვიან; თუ ეს გარსი მთელია და მის ზედაპირზედ არავითარი იარა არ მოიძებნება, იმ შემთხვევაში ინფეკცია (მიკრობები) ტანში შესასვლელ გზას ვერ იპოვნის. ყელში მარჯვნივ და მარცხნივ ენის ძირთან ორი ჯირკვალი დევს, რომელთაც ნუშის მზგავს ჯირკველებს ეძახიან, ეს ჯირკვალი აგებულია მეტად ფხვიერი ქსოვილებიდან, მისი ზედა პირი უსწორ-მასწოროა და მრავალი ფოსო-ნაპრალებით დასერილი. ამ ჯირკველებიდან მიკრობები ადვილად ახერხებენ სხეულში შესვლას, მათ ფოსო ნაპრალებში მუდამ მრავალი ბაკტერიები ბუდობენ, რომელთა შორის ბევრი სენის გამჩენია და შხამიანია. სჩანს, რომ აქ ბაკტერიები სასურველ ნიადაგს პოულობენ თავიანთ ცხოველ-მოქმედობისათვის, დაიწყებენ გამრავლებას და ამასთან ერთად აღიზიანებენ ჯირკველის ეპიტელიუმიან საფარველს, რის გამოც ამ უკანასკნელის მთლიანობა ირღვევა, ეპიტელიუმი სცილდება, შორდება გარს და ამ რიგათ ბაკტერიებს ტანში შესასვლელი გზა-კარი ეკაფება.

სასუნთქავი მილიც საგრძნობელ მონაწილეობას იღებს მოარულ სენთა მიკრობების მიღებაში; ამ გზით ბაკტერიები სუნთქვის დროს ჰაერს მიყვება ხოლმე; ჭლერქი, შავი ჭირი ხუნაგი, ფილტვების ანთება და სხვა, ადამიანს სასუნთქავი ორგანოს საშვალებით შეეყრება. მაგრამ ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ეპიტელიუმის მილთან ხდება დაურღვეველად ინფექცია და ფილტვებში და საზოგადოთ ტანში ვერ შეატანს, ვერ შეაღწევს, მაგრამ თუ ადამიანს ჩონჩხები და კერძოთ ფილტვები სხვა რაიმე ავადმყოფობისა და სისუსტის გამო, დაზიანებული აქვს, თუ იქ ბევრი ნახველი და ლორწოა დარჩენილი იმ შემთხვევაში შიგ ჩაყოლილ მიკრობების სისხლში, შედის და მაშასადამე სულ სხეულშიაც, შესვლას აღარა რა დაუშლის. უფრო ხშირად ჩვენ ტანში მიკრობები კუჭ-ნაწლავებიდან შემოდის. ამ ორგანოს შიგნითა პირსაც ლორწოიანი გარსი ფარავს, რომელიც ნაოჭებივით მიკეცილ-მოკეცილია; გარსს კი თავისი ეპიტელიუმიანი საფარი აქვს. ნორმალურ მთლიან გარსში ბაკტერიები ვერ გააღწევენ; ლორწოიან გარსის კედლებში ბევრნაირი ჯირკვლებია მოთავსებული, რომლებიდანაც კუჭ-ნაწლავებში სხვა და სხვა თვისების სითხე შემოდის. კუჭში შემოსულ სითხეს სტომაქის წვენი ჰქვიან, ეს წვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჟავეა, რადგანაც საკმაო მარილის სიმჟავეს შეიცავს, ბაკტერიებზედ ეს წვენი ცუდათ მოქმედობს, ყოველივე მათ ცხოველ-მოქმედებას ეს წვენი აფერხებს, აბრკოლებს. უზმო, უჭმელ კუჭში ეს წვენი ნაკლებად შემოდის და თუ ამ შერჩეულ დროს ბაკტერიებმა ითავხელეს და კუჭში მოჰყვენ არ ინანებენ, მცირედ მჟავე წვენს ადვილად გაუსხლტებიან და ნაწლევებში ჩავლენ, სადაც უფრო ხელ-შემწყობ პირობებს ნახავენ გასამრავლებლად და ჩვენდა დასასნეულებლად. ბაკტერიების ნაწლავებში დაბუდება. დიდს ზიანს ადამიანს ვერ მიაყენებს, თუ ნაწლევების ეპიტელიუმიანი საფარი მთელია და საღია, მაგრამ ბაკტერიების ხანგრძლივი იქ ყოფნით ეპიტელიუმი გარდაგვარდება, ლორწოიან აპკს ეცლება და ამგვარად ბაკტერიებს ტანში შესვლა უადვილდება. ამ გზით ადამიანს შეეყრება ხოლერა, სახადი და მუცელა.

ტანში შესული მიკრობები ორნაირად ავნებენ ადამიანს, ერთი რომ უთვალავი მათი გროვა აღიზიანებს ამათუ იმ ქსოვილს, ანუ ორგანოს და ხშირათ კარს უხშობს ამ ორგანოებში მომდინარე სისხლის მასრებს; მეორე რომ, როგორც გამოკვლეულია, ბაკტერიები გამოიდენენ მეტის-მეტ შხამიან ნივთიერებას, რომელნიც ყველა ამ ცნობილ საწამლავებზედ უფრო ძლიერია და უფრო მომწამვლელი, ამ საწამლავ ნივთიერებას სახელად ტოქსინს ეძახიან. თვითეული ბაკტერია განსაკუთრებულ, თავისებურ შხამს ამზადებს. აი ამ შხამით (ტოქსინით) სწამლავენ ისინი ადამიანს და საზოგადოთ ყველა ცხოველ არსებათა ორგანიზმს, როცა მათ სხეულში დაბუდდებიან, მაგრამ არც ადამიანის ორგანიზმი შესცქერის გულხელდაკრეფილი ამ შხამიან მქნილებათა შესევას, ის ებრძვის მათ და ამ ბრძოლაში ხმარობს ყველა იმ საშვალებებს, რაც კი მისთვის ბუნებას მიუნიჭებია; ამაზედ კი ჩვენ შემდგომ წერილში გვექნება ბაასი.

ივ. თიკანაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

„სახალხო გაზეთი“

ყოველდღიური სამოქალაქო და სალიტერატურო გაზეთი

ორმოცდაერთ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ. დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი უფასოდ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

Открыта подписка на 1913 годъ.

МАЛЮТКА

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ.

Допущенъ Министерств. Народнаго Просвѣщ. въ библіотеки дѣткихъ садовъ й пріютовъ.

Годъ изданія двадцать восьмой.

12 книжекъ журнала **МАЛЮТКА**. **12** выпусковъ „**Сказки Кота Ученнаго**“ **24** преміи—игрушекъ для вырѣлыванія, склеиванія, рисованія и т. п.

Всѣ подписчики получатъ при 1-й книжкѣ „**РЕЙНЕКЕ-ЛИСЪ**“. Поэма I, В. Гете, приспособлен. для дѣтскаго возр. съ иллюстр. Вольфа, Каульбаха и др. извѣстн. худ. Передѣлка Дяди Саши.

Кромѣ того годовые подписчики получатъ **«Юбилейный альбомъ 1913 г» и „Домашній театръ Малютки“**.

Подписная цѣна со всѣми приложеніями и вып. „Сказокъ Кота Ученаго—**4** руб. Безъ вып. „Сказокъ“ 2 р. **50** к. За границу **6** р. и **4** р.

Адресъ для иногороднихъ: Мхсква, редакція журнала „Малютка“.

Въ Москвѣ подписка принимается вь конторѣ Н. Печковской.

При перемѣнѣ адреса прилагаются три семикопѣечныя марки.

Редакторъ **А. М Введенскій**.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ:

1) экз. жур. „**Малютка**“ за 1905, 1906 1907 г.г. сброшюров. отд. книжками продаются въ редакціи по **1** р. **25** к.; 1911 и 1912 года—по подписной цѣнѣ. 2) **Сказка про Щелкуна и Мышинаго Царя.** Въ папкѣ, ц. **1** р. **75** к. 3) **Робинзонъ Младшій.** Безъ перепл., цѣна **1** р. **50** к.

Подписчики ж „Малютка“, при выпискѣ этихъ книгъ изъ редакціи на сумму не менѣе **2** руб., за пересылку не платятъ.

ჯეჯილი

საყმაწვილო ნასაგებიანი ჟურნალი.

ოცდა მეოთხე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ., ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.
ბაქოში—ქალ. მართა კვიტაშვილს.
მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.
გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს.
სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილს.
თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
სილნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.
ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი ნნ. თუმანაშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1913 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **Д. М. Думбадзе.**

Издатель **Э. З. Горделадзе**